

## საჩემო სახეიძე

სულთოებრების

ნაწერსკლები

**სერგო სამნიძე**

**საღიჯიჯის ნაწიხნაღაღი**

**ბათუმი 2012**

წინამდებარე წიგნი ჩემი სულის მონაჟურია; პატარა ფრაგმენტია ცხოვრებისეული ბილიკებიდან; კრებულია იმისა, რაც განმიცდია და მინახავს, რასაც ვფიქრობ. ბრძნული აზრების კონაა ამავე ცხოვრების ბილიკებიდან ამოკრებილი, კეთილი სურვილებია კეთილი გზებით მავალ-თათვის, და კიდევ შეგონებაა, რომ ყველამ უფლის გზებით იაროს და აკეთოს საღვთო საქმეები.

ნათელი ბნელზე მუდამ გამარჯვებულია ასე მჯეროდა და ასე მჯერა დღესაც.

ჩემი სურვილია დაითრგუნოს ადამიანების ბოროტება, შური, ბოღმა, ეგოიზმი! გულწრფელად ვინამოთ უფალი და სუფთა გულებით ვიცხოვროთ!



## ხატიამაქი

გადარჩენილი,  
გარდასული დროის მოწამე,  
გადარჩენილი,  
ყოველ მმუსრავთ მახვილის ქნევას,  
ალაგი წმინდა,  
უფლის ძალით გადარჩენილი  
არ დრკება,  
იტანს ჯიჯგვნას, ქაოსს  
და სულის რყევას.  
სახელი წმინდა  
ჩაქსოვილი წინაპართ ხსოვნას,  
სახელი წმინდა,  
ნალოცი და სალოცი ახლაც,  
ყოველდღიური  
ყოფიერის თანაზიარი,  
ხან სიხარულის,  
ხან ვაუბის ელდაც და განცდაც.

არგატეხილი,  
არდაცემულ სულის ჯილაგი  
სულ სალოცავი,  
როგორც დედა, როგორც მამული,  
დიდება უფალს  
რომ შემოგვრჩა მართლაც საფიცრად  
ადგილი წმინდა,  
სახელწმინდა -  
"ხ ა ტ ი მ ა მ უ ლ ი".

2005



ადამიანმა პირველად ხალხის სიყვარული უნდა დაიმსახურო. ქალის სიყვარულს ყოველთვის დაიმსახურებ და იგი ემსგავსება ქარის მოტანილს - როგორც მოიტანს, ისევე წაიღებს, ხალხის სიყვარული კი ყოველგვარ ძეგლს და ფასეულს სჯობს...

\*\*\*

სადაც ფული ბატონობს, იქ ღირსებაზე ლაპარაკი ზედმეტია...

\*\*\*

თეფშილოკია სალახანების დროა დღევანდელიობა, – კევილეჭიათა და კუდბანარათა აღლუმი...

\*\*\*

მეთუმენაობა დამნაშავეთა მარაქაში ყოველთვის იყო და იქნება...



## ქალი ხინდება

არაფერს ნიშნავს  
ღვთის ტაძართან პირჯვარის წერა,  
მღვდელი რად გვინდა,  
არ გვჭირდება ცოდვის შენდობა,  
ჩვენ,  
ქართველებმა, თამაღებთან ვიცით შეწყობა  
მძიმე ცოდვებით ცა მძიმდება  
თავზე გვემხობა.  
ქალი კნინდება -  
გავალმერთოთ ქართველთ დედობა,  
ღმერთი შეგვინდობს  
დამიჯერეთ, ვინც კი მენდობა.  
ვარ მუსლიმანი -  
პატივსაც ვცემ ყველა სალოცავს,  
უფლის სახობობოდ  
არაფერი უცხო არ არი,  
სხვა არ გვჭირდება  
ჩვენვე შევძლოთ თავის გამოცდა,  
მთავარი არის -  
ღვთის წინაშე ვიყოთ მართალი.

2005



\*\*\*

ძაღლის გამოცეცება ეზოდან არც ისე ძნელია, მოცილება კი – არც ისე იოლია, ამიტომ ძაღლთან ხუმრობა არ გავა - ძაღლს ძაღლურად უნდა მოექცე. ძაღლი მხოლოდ პატრონის მეგობარია და არა ადამიანისა საზოგადოდ, როგორც ეს ჰგონიათ.

\*\*\*

დღეს ზოგს თავისი აჩრდილისაც ეშინია, ემანდ არაფერი წამომცდესო, ხოლო ზოგიერთები ისე კაკანებენ, როგორც წინილებდაკარგული კრუხი და... არც არაფრისა ეშინიათ!..

\*\*\*

როცა თავად შეგიძლია გააკეთო კეთილშობილური, სახალხო საქმე, სხვას ნუ დაელოდები... უნდა დაასწრო ნამდვილად სხვებს...



## ფილოსოფოსთა აზრი

ფილოსოფოსთა აზრია  
შვილმა აჯობოს მშობელსა,  
თორემ უგვარო – უგვანი  
თვით დაგმობს თავის მგმობელსა.  
გულლომს ყოველთვის აქებდნენ  
ჭირსა შიგანა მყოფელსა,  
კარგი -  
ჭრილობებს უამებს  
ქვეყანას,  
ხალხს და სოფელსა.  
გონჯსა გმობს წუთისოფელიც,  
აბრწყინებს შესამკობელსა,  
შეარჩენს სახელ-დიდებას  
და არა სრა-სამყოფელსა.  
ვაშა -  
თქმულს ნადარჯაკვესა,  
შვილს თუ უქებენ მშობელსა,  
- შედეგი მაშინ ფასდება  
ნაყოფს რომ მისცემს  
მცნობელსა.

2005





\*\*\*

წიგნიერება - მარტო ათეული წიგნის წაკითხვას არ ნიშნავს და ნიჭიერება - წაკითხულიდან რაიმე ეპიზოდის მოყოლას, წიგნიერება - ცოდნის გაღრმავებაა, ნიჭიერება კი წიგნიერებიდან გამომდინარეობს - რაც მეტს წაკითხავ, მით უფრო მეტის წაკითხვას ითხოვს შინაგანი ბუნება, ოლონდაც, სწორედ მეტის წაკითხვით და მეტისმეტი ჩაღრმავებით ის საჭირო მარცვლები უნდა ამოკრიბო, რომელიც ქვეყანას და ხალხს გამოადგება, უნდა ჩააყენო ისინი საკეთილდღეო სამსახურში. სწორედ ესაა ნიჭიერება და ეს არამცდაარამც არ ნიშნავს პლაგიატობას.

წყალბადის ატომები ათასწლეულების წინათაც არსებობდა და მაშინაც იცოდნენ სწავლულებმა, თუმცა მისი გამოყენება არ იცოდნენ. ფიზიკისა და ქიმიის გრანდიოზულმა განვითარებამ მეც ნიერებს საშუალება მისცა სხვისი ნააზრევების ახლებურად და მიზანმიმართულად წარმართვაში - ეს კი ნიჭიერება და ბედნიერებაა თავისთავად.



## ღაღაი, უბეღაიო

მთვარის უკანასკნელი მეოთხედიც  
ქრება და ველარ ისვრის ნაპერწკალს,  
ჩადის,  
იძირება დილის მზის სხივებში,  
და მზეც - ნაღვლიანად გაკენწლავს:  
- დადექი, რად ქრები, უბეღაიო,  
მიდიხარ?..  
სად უნდა გამასწრო,  
დედამინას ახლა უფრო სჭირდება;  
სჭირდება,  
როგორც არასდროს.  
ერთ დღეს კი...  
იცი? - სულ გაქრები,  
ნასახიც არ დაგრჩება მცირედი,  
შეჩერდი ერთ წამას - გენაცვალე,  
მოიმედეთ არ ნაჰგვარო იმედი.  
შეჩერდი,  
მაღალ ღმერთს გაფიცებ,  
მარტოდ მეც გამიჭირდება,  
როგორც არაერთხელ, წამალივით  
დედამინას ჩვენი მაღლი სჭირდება.  
... დადექი, უბეღაიო!..

2005



\*\*\*

გამეორება ცოდნის დედააო... ისტორიებიც მეორდები-  
ანო. თუ კარგად არ დაისწავლე, მაინც ვერ გაიმეორებ, ცუდ  
"ნიშანს" მიიღებ... ჯობს ან კარგად შეისწავლო ან სულ აღარ  
გაიმეორო... გამეორებაში შეცდომები არ უნდა დაუშვათ... და  
სწორედ განმეორებული შეცდომა იმსახურებს საკადრის  
შეფასებას...

\*\*\*

ვისაც ეგონება რომ უდიპლომო ვარ, დაე ეგონოს, მაქვს  
მე ისეთი დიპლომი, რომელიც ყველასათვის არაა ხელმის-  
აწვდომი,

მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს ექნება - ესაა ირეალური  
კაცობის ბეჭდიანი დიპლომი, რომელსაც ღვთისგან აქვს იგი  
დასმული



## ხომედი ხახ სათა შინა

რომელი ხარ ცათა შინა,  
მადლით წაგვიპინკე პინა,  
გვაპატიე ყველა ცოდვა  
ღმერთო,  
დაიფარე ჩემი ხალხი,  
უმიზეზოდ სისხლს ნუ დაღვრის  
ის გვაკმარე, რაც ვენამეთ  
დღემდე,  
ფესვის საზრდოდ ვიქცე ხვალვე,  
ოლონდ ერი ამიყვავე!  
შეგვინდე და მირონი გვცხე,  
გთხოვ,  
შეგავედრებ "ქართლის დედას"  
რუსთაველის ენით გბედავ,  
ანგელოზთა ენით გიმღერ  
მენდე,  
დაე, მე დამასამარე  
ყველა ბელტი დამაყარე  
ოლონდ იხსენ საქართველო,  
ღმერთო!..

2005



\*\*\*

ერიდე იმ ქვას, რომელსაც სხვებმა ფეხი წამოჰკრეს, გახსოვდეს - ერთსა და იმავე ქვას მხოლოდ პირუტყვი წამოჰკრავს ფეხს.

\*\*\*

ქვეყნად ცოდვა-სამართალსაც თავისი დრო აქვს და ალბათ პატრონიც გამოუჩნდება. უმაქნისია ბევრი რამ, რომელიც მავანთ ჰგონიათ, რომ მართებულია...

არა, ბევრი რამ მოჩვენებითია და ეს უნდა განსაზღვრო და გაითავისო...

\*\*\*

არ ვარგა ისეთი დროება, როცა პირში გიცინიან და გელაქუცებიან, თუ ჭირიხარ, თუ არადა პირიდან სიტყვას და ლუკმასაც ისე აგაციცლავენ, აზრზე ვერასოდეს მოხვალ!.. ასეთი კაცუნები ზურგსუკანიდან უფრო ახერხებენ გველადუობას, თორემ პირისპირ დგომისა და საუბრისას ანგელოზად მოგაჩვენებენ თავს... აფსუს დროებაჲ?!

თვალეებში ყურება და თავისებური „სიბრძნე“ გველსაც გააჩნია!..



## ქანი ჯასით ჯაყოზა

ქალი კაციტ ამაყოზდა,  
კაცმა თვით დასცა ნამუსი,  
ყოფა რომ გაუფასურდა, შემოგვრჩა მხოლოდ ნამუსრი.  
უუღვაშო - იმასა ჰგავს, სხვა რას შევადარო აბა,  
კაცს ნამუსი რომ არ შერჩა, ქალმაც მოიცილა კაბა.  
ნამუსიან-უნამუსო, ამით ნაღდად გათანაბრდა,  
ქალმა შარვალი მოირგო, ოღონდ ერთი რამის გარდა.  
შარვლიანი თუ შემოგვრჩა,  
ხორცსა ფარავს იგი მხოლოდ,  
კარგკაცობა  
და ნამუსი, წასულია საგასტროლოდ.  
ამბიცია წრეს გასცილდა  
სადღაც ქვაზე იკრავს ზონარს,  
ზღაპარ – უტოპიად დარჩა  
კაცს რომ დაეკარგა ნონა.  
ვახტანგს, ცოტნეს, დავითს, შოთას,  
სჯობს თამარიც, ვარდოც, ნონაც,  
კაცი თუ არ იკრავს ზონარს,  
ქალიც აღარ ფარავს ზონას.  
ჰოდა,  
რა გასაკვირია, კაციც ორსულ ქალსა ჰგავდეს,  
ამისთანა კაცის ყოლას  
სჯობს ქალს სახლში ძროხა ჰყავდეს.

2005



\*\*\*

ათასწლეულების გამოცდილება: ნუ მიაგებთ ბოროტებას უმეცართ, რამეთუ არა იციან რასა სჩადიანო...

ბოროტებას ბოროტებით არ უხდიანო... ბოროტს რომ ბოროტება არ შეაგებო იტყვის - ჩემი გავიტანეო. მუშტის მომქნეველს უარესი მუშტი უნდა აჩვენო, თორემ თუ ზურგი შეაქციე, ზურგშიც მოგხვდება, იმიტომ რომ ის - ბოროტიცაა და ვერაგიც, ასეთები კი უნდა გაანადგურო... ეს რა თქმა უნდა სცდება ქრისტესა და მუჰამედის მცნებებს, მაგრამ ეხლა სხვა დროა და სხვანაირი ატმოსფეროა!..

\*\*\*

როცა დიდი საქმეა მოსაგვარებელი, ან წინამძღოლობაა საჭირო (თუნდაც ოჯახის შექმნა და სხვა...) იქ წვრილმანები არ არსებობს... თუ სრულყოფისკენ გვაქვს მისწრაფება, საკუთარი „მე“ უნდა დავთრგუნოთ როგორმე... ჰო, წვრილმანები თავს როცა იჩენს, აქედან იწყება უბედურებაც... წყაროებით გროვდება უზარმაზარი მდინარეები, რომელთაც ადიდების შემთხვევაში კატასტროფები მოაქვს...



## მთვანიან-მზიანი

ბათუმში მზეც მიყვარს და  
ბათუმის შხაპუნაც,  
ტალღების ჩხრიალიც და  
ქუჩების ხმაურიც,  
ნისლია თუ ნვიძაა,  
თოვლიც და თოვლჭყაპიც  
მტვრიანი ზღვის პირიც და  
ჩურჩულა ზღვაურიც.  
ბათუმი ქათქათა, ბათუმი ზვიადი,  
ბათუმი სამოთხის სწორი,  
ცისარტყელებით ნაქარგი ბაღები,  
ბაღნარში ნანვიმის შმორიც.  
მიყვარს და ვერასდროს, ვერ შეველევი,  
მეც მიყვარს,  
შენც გიყვარს მიღეთის ზიარი,  
ბათუმი ქათქათა,  
ბათუმი ზვიადი,  
თოვლიან, ყინვიან, მთვარიან-მზიანიც.

2005





\*\*\*

ცხოვრების საფეხურები უნდა აითვალო, დათვლას  
სხვებიც შეძლებენ...

\*\*\*

ცხოვრების კიბეზე მარტოოდენ აღმა სვლით უფლის  
საბრძანებელს ვერავინ მიაღწევს. საჭიროა უაღრესი თავმ-  
დაბლობა, სიკეთე, კეთილგონიერება და რწმენა.

რწმენის გარეშე ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ...  
თუ ღრმად არ გწამს, ვერც ბოროტებას დათრგუნავ!.

\*\*\*

ისეთი ვითარებაა საქართველოში (და მსოფლიოშიც),  
გონიერი, ღვთის ქმნილებები – ადამიანები, გამაიმუნების  
გზაზეა შემდგარი, რადგან უკვე დაივიწყეს, რომ მათი წინა-  
პარი მაიმუნი იყო, (არა ყველასი) და თავადაც აგერ ახლა,  
ადამიანები იყვნენ...



## ახა ვსოდავ

არა ვცოდავ,  
არ შემშლია ნააზრევი,  
ნაბიჯი -  
არც სადღეგრძელოს თქმა,  
ვისაც გულში ზიზლი აქვს და  
სხვათა მტრობა,  
ღმერთო -  
იმათ დაუდუმე ხმა.  
არასოდეს მინანია ისე მწარედ,  
ჩემი ცოდვით გამსკდარიყოს ქვა,  
სტომაქიც და  
გულ-მუცელიც მას უსკდება,  
ვინც ვერ ხვდება ზომიერად სმას.  
არაფერი იკარგება ცისქვეშეთში,  
გამგებულად ვიდრე ღმერთი გვყავს,  
ვინც ზომაზე არა ყლაპავს -  
მოეკითხვის,  
დააბრალოს მერე თავის თავს...

2005



\*\*\*

სიცოცხლე ის გზაა, რომელსაც ყველა გაივლის და რომელსაც აღმართ-დაღმართი ახლავს, მაგრამ თუ ყველა აღმართი კეთილსინდისიერად დაძლიე, მაშინ დაღმართის ნუ შეგეშინდება...

\*\*\*

შურით გატენილ ადამიანს მარტო თავის დაქნევით ნუ დაეთანხმები, სულელად რომ არ ჩაგთვალოს და ისეც ნუ უჩხვლეტ – გასკდეს...

\*\*\*

გახელილი თვალეზით განა ყველაფერს დაინახავ?.. გულისმიერი ხედვა თუ არა გაქვს, ვერაფერ სასიკეთოს ვერ შეამჩნევ, ვინაიდან ღია თვალსა და დანახვას შორის განსხვავება დიახაც არის...

ბრმებსაც აქვთ თვალეზი ღია... დიახ, სულისა და გულის თვალეზით უნდა დაინახო ის, რასაც თვალი ვერ ნვდება... თუმცაღა, ეს რჩეულთა ხვედრია...



## ლოთსას სწობენ

სულიერად უნდა მისწვდე უფალს,  
თორემ  
სიმღერებში ლოთსაც ცნობენ  
ხმაზე,  
წრფელ გრძნობებში  
ვინაც ბინი გაურია,  
ვერ მოხვდება უფლისმიერ გზაზე.  
მე არასდროს დამმსხვრევია ანჯამები,  
არც არასდროს დაჟანგდება გრძნობა,  
სულში კიბო რომ გამიჩნდეს,  
არ მგონია,  
იმიტომ, რომ -  
ანგელოზმა მშობა...

2005



\*\*\*

იმ ნიაღვარს ნუ ჩაეთრევიანები, რომელსაც სხვები მი-  
აქვს, თორემ შენც წყალწაღებულად ჩაგთვლიან. სჯობს  
ნიაღვარს ან მარტოდ შეეჭიდო, რომ გმირად დაგსახონ, ან  
სჯობს სულაც განერიდო. დაე, მშიშარა გინოდონ - წამოძა-  
ხილით ადამიანი არ ილუპება...

\*\*\*

სიკვდილი არავის არჩევს და საბოლოოდ ერთ დონეზე  
ასწორებს – ბრძენსა და უვიცს, ქალწულს თუ მეძავს,  
მღვდელს, მოლას, ყაჩაღს, ცოდვიან-უცოდველს, მონას თუ  
ქვეყნის მპყრობელთ... უბედურია და დაუნდობელი სიკვდი-  
ლის ცელი!.. თუმცა, სიკვდილი ერთხელ მოდის... და მარტო  
არსად მიდის...



## ნაას ჯიჯაში

კაცს უღვაში სჭირდება და  
ქალს - მანდილი  
(უმამალოდ - ქათამიც კვერცხს  
ვერა დებს),  
გრძელთმიანი -  
უნდა მართლაც ქალსა ჰგავდეს,  
უღვაშა კი -  
არა ჰგავდეს ქვეშაგებს.  
თავის რიგი  
და წესია სამყაროში,  
საუკუნე  
ვერ იქცევა წამად,  
არ მიხსენოთ -  
მე უღვაშა დედაკაცი  
კაბიანი -  
ვერ გახდება  
მამა...

2005



\*\*\*

ქართველობა მარტო გულში ჩაღლინებით არ იქნება, ვერც დიდი სასახლის წამოჭიმვით; ყველა ცოტნე და თამარი ვერ იქნება, მაგრამ შადიმანობას და ყორღანაშვილობას არავის ვუსურვებ.

გვაცილოს უფალმა ღმერთმა!

\*\*\*

თუ გადიდკაცდი - ისე მალლა ნუ ახვალ, ყვავმა წაგილოს და ისეც ნუ დავარდები, ზღარბი გადაგახტეს...

\*\*\*

იტყვიან მჭამელი იყოს თორემ, საჭმელი მოიძებნებაო... ახლა კი პირიქითაა - საჭმელი იყოს, თორემ მჭამელი არასოდეს გამოილევია... ჰო, ყბა იყოს თორემ აღვირი მოინახებაო..



## ბაჰანჭიხი

გაპრანჭულხარ  
მედიდურად დააბიჯებ,  
ლამით ბოზობ  
დღით კი ბრძენობ -  
ასე ჩანს,  
ასპარეზი -  
ფარაონთაც შეეკვეცათ  
კლეოპატრას -  
სამოსელიც არ შერჩა.  
აღზევება,  
განდიდება მტვერია და,  
ილუზიის სამოსია მხოლოდ,  
ცოდვით სავსე,  
კრიალოსანს რისთვის მარცვლავ,  
ის იფიქრე -  
რა წაგყვება ბოლოს...

2005





\*\*\*

ქართველი დაბადებიდან პოეტიაო, უთქვამთ. ვისაც კი სიყვარულზე თუნდაც ერთი სტროფი დაუნერია ან, ჩაულღინია, იმ ადამიანს არ ძალუძს ბოროტება...

\*\*\*

ერთადერთი, რაც შეიძლება დაუნახავად სხვებს დაუჯერო, უფლის არსებობაა, რაც განსჯას არ ექვემდებარება, ხოლო თუ მიმდევარნი ტყუიან, ამას ადამიანის ფსიქიკამ უნდა გაუკეთოს რეაგირება, ანალიზი და დასკვნაც.

\*\*\*

ხანდახან მწერლები და პოეტები თავს იკლავენ (განა მარტო ესენი?..) თუმცა არიან ისეთი პოეტები და მწერლები, რომლებიც თავს არ იკლავენ, ცოცხლობენ, მოძრაობენ მაგრამ მაინც მკვდრების სიაში ირიცხებიან (არა ყველა... და არიან ასეთი განმანათლებლებიც..) სიცოცხლე სხვაა და არსებობა სხვა... ზოგი ცოცხლობს (და კვარცხლბეკზე ადის...), ზოგი კი არსებობს! (თუმცა ზოგი კვარცხლბეკიანს ათასი თავით სჯობს)...



## ქაიოველს

ქართველს -  
ნამუსი გადარჩენოდეს,  
ქართველ კაცს -  
ხმალი მუდამ სჭეროდეს,  
გამარჯვებისა -  
მუდამ სჯეროდეს  
გამარჯვებისას მუდამ მღეროდეს.  
ქართველს -  
ულვაში მუდამ შვენოდეს,  
ქალს კი -  
მანდილი მუდამ ჰფენოდეს,  
ქართველს -  
ცა თავზე არ დანგრეოდეს  
მავნე ჩვევებს კი  
გადაჩვეოდეს.  
... თუ გავუბოდიო  
ლუსკუმს ჩვენ ოდეს,  
რად ვემსგავსებით  
საქმით ჰეროდეს?...

2005



\*\*\*

ხალხი როცა წვება, შენ მაშინ უნდა იდგე უშიშრად დ გულ-  
მაგრად, ხოლო როცა ხალხი ფეხზე დგას და აღელვებულია, ჯგობს  
მაშინ დანვე და ქარიშხლის დანყნარებას დაელოდო... გმირობაც  
კარგია, მაგრამ ასეცაა „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“.

\*\*\*

გამყოლი ქარი მარტო ქარის წისქვილისთვისაა გამოსადეგი...

\*\*\*

რატომ არიან ყორნები შავი?... ბევრს ანუხებს ეს შეკითხ-  
ვა, თუმცა ნუ გაიკვირვებთ, მათ კვერცხებიც შავი აქვთ...  
(რა იქნებოდა, პირშავ, ბოროტ და უღირს ადამიანსაც შავი  
კვერცხები ჰქონებოდა).

განსხვავება და მსგავსება ყორნებსა და ადამიანებში... ყო-  
რანი როცა ლეშს კორტნის, ტირის... (ნიანგებიც ღვრიან ცრემ-  
ლებს) ყორანი ძლება და თან მკვდარს გლოვობს, ამიტომაც  
სულ შავს ატარებენ...) ადამიანები როცა გლოვობენ, არც ქელ-  
ეხზე ამბობენ უარს... განსხვავებაა? ყორნები მკვდრებს ტირი-  
ან და ისე ჭამენ, ადამიანები კი ცოცხლად ჭამენ ერთმანეთს  
და... გაგიგონიათ? რის ტირილი, ხარხარებენ კიდევ!..



## ბინძვან სატანანს

თავის ბილიკით იაროს ყველამ  
შეეკრას თუნდაც -  
ნატოს,  
გაეროს,  
სული მიჰყიდოს გინდაც  
სატანას,  
ოლონდ -  
აკეთოს, საქმე  
საერო...

2005

## უჩილეთ

თავს გვანგრევენ  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
ნუთუ -  
გჯერათ ბუშისა?  
იქნებ, მალე დავემსგავსოთ  
ნათელ ნაბადს თუშისას.  
ნუ ვიზამთ,  
ნუ ვურიგდებით  
ნაგვად ქცევას ქუჩისას...



2005

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა”  
და  
მჯობის მჯობნი არ დაილევან”

\*\*\*

ისეც ნუ იზამთ – ყვავს თავისი ბახალა ფარშევანგზე  
ლამაზი რომ ჰგონია...

\*\*\*

სხვის სილამაზეს შენი სიმახინჯე გერჩიოს, რადგან  
ღმერთმა რა სახეც მოგცა, იმით უნდა წარსდგე საიქიოს მის  
წინაშე... იქ კი, სილამაზე-სიმახინჯეს არაფრად აგდებენ,  
მთავარია წმინდად გნამდეს... ყალბი სახე კი, ულამაზესიც  
რომ იყოს, მაინც მახინჯია... მშვენიერება კი ყველა ჭეშმარი-  
ტი სახეშია ჩაბუდეებული...

ვინ ხარ შენ?!



## ფუი, მუი

მაზრიალებს,  
ტანშიც მამტვრევს,  
თითქოს, სულიც მელევა,  
საქართველო ძლიერ  
მტკივა,  
ჩირქი არ მდის?  
- მერე რა...  
გული ბოლმით ამოგვევსო,  
გვჭირს ინფარქტის შეტევა,  
მშიერ ხალხს თუ სული გაშპა  
ფუი -  
მერე შენვენას...

2005



\*\*\*

ნუ იყოყოჩებ, იყავი დინჯი და მოფიქრებული. ქორების  
ნუ შეგეშინდება. ნათქვამია: ღირსეულს კაცუნების კენჭებ-  
ის სროლა ვერაფერს დააკლებსო...

\*\*\*

მომაკვდავი ადამიანები სიზმარ-ცხადში ხედავენ ულ-  
ამაზეს ასულს... ჰო, სიკვდილის კარიბჭესთან...რეალურსა  
და ირეალურს შორის... არც ხორციელია და მინიერი მითუ-  
მეტეს... იგი არც დედაა და არც საბედო, არც არავისი დაა...  
ვინ არის მაინც ის ქალი?..

არავითარი მიქელი ან გაბრიელი... ულამაზესია ულამაზ-  
ესთა შორის ეს ასული, თუმცა სწორედ იგია სიკვდილის  
ანგელოზი... უცოდველები ზარ-ზეიმით მიჰყავს (თუმცა,  
ხშირად ასეთებიც ეწამებიან), ცოდვილები კი ტანჯვით ლე-  
ენ სულს...

მინახავს მე ეს ანგელოზი...

...შუბლნათელი დახვდით, თუ შეგიძლიათ!



## საიდან

საიდან გაჩნდა ამოდენი  
გიგა და გოგა,  
მიხეილები,  
ჭკუაბუყუა - გიგი, კახები,  
რა ღვთის რისხვაა,  
შადიმანად ქცეულა ყველა,  
ერთად შეყრილან ორპირები  
და ღვთის გლახები.  
თვლა აღარა აქვს, პარლამენტში  
მძიმეწონოსნებს.  
ცოდვას გავამხელ -  
მაგონებენ სკოლის ოროსნებს,  
ვილა იკითხავს თალხკაბიანთ  
ან შავჩოხოსნებს,  
ერს ხრამში ჩეხენ,  
თვით გარბიან - იქით ბოლოსკენ.

2005





\*\*\*

ერზე, ხალხზე უაზროდ თავის შეწირვა უგუნურებაა. მთავარია ჩირაღდანით ენთო, იწვოდე საზოგადოების სიყვარულით, შეგეძლოს ხალხზე უმსხვერპლოდ გაძლოლა და სვლა კეთილი მერმისისაკენ. ცრუპატრიოტობა ვაჟკაცობა არაა...

\*\*\*

დღეს პოლიტიკაა მთავარი და ფული... ღირსებას და ნიჭიერებას ადამივით ლელვის ფოთოლი ფარავს და არც არავინაა მომკითხავი...



## ვეპაპი აიხაძე

ჩემი სამშობლოს ტკივილი მტკივა,  
მმოსავს მხედრული ფიცის  
ფარაჯა,  
ღმერთმა მატაროს ჩემი სიმართლით  
ცერბერივით რომ  
ვდგავარ დარაჯად.  
ერის ტკივილთან გადაჯაჭვული  
მგონი მესხნება ძველი იარა,  
მე  
ჩემი ხალხის ცრემლები მახრჩობს,  
ნაავკაცართა სისხლი კი არა.  
ჩემი სიმართლე სიყვარულია,  
სამშობლოს,  
ხალხის,  
ერის ზეობის,  
ტრადიციების ერთგულიცა ვარ  
დარაჯი,  
მცველი,  
ერის ზნეობის!..

2005



\*\*\*

ცასა და დედამინას შორის სატანის გარდა ვერავინ გაჩერდება. უფალსა და ადამიანს შორის მხოლოდ რწმენაა მოციქული. შიმშილსა და მაძღრობას შორის მოზომილად ყოფნა სჯობს მუდამ, თორემ შიმშილმა უღონობა იცის, გაძლომამ – სიზარმაცე, სიზარმაცე კი კაცის დამლუპველია...

\*\*\*

სახელი „იაკობი“ სხვადასხვა ენაზე ბევრნაირად იშიფრება, ქართულად „შემაფერხებელი“, „დამაბრკოლებელი“ მისი სინონიმი თუ მნიშვნელობა... ბრძენი იაკობი (ღმერთზე მოჭიდავეც?..) განმანათლებელი იყო, თუმცა ერთდროულად, შემაფერხებელ-დამაბრკოლებელიცაა... ერის წინამძღოლი, ერის სულიერების სინმინდის დამცველი და მოდარაჯე, ამავე დროს მტრის, უვიცობის, სიბეცის შემაფერხებელიც... ამდენად, ამ სახელში ანგელოზია გაიგივებული...

ხომ არ მიბაძავდით მას, ჩემო კარგებო?!.



## ნახში ნახიის

მე არასოდეს მაჟრჟოლებდა  
ნატვრა ნეტარის,  
არასდროს მცმია არც მანტია  
ცრუ განდიდების,  
თუ ვარ უფულო, უქონელი -  
- არა ურჯულო,  
თანაც კერკეტი -  
ურჯულოთა არ პატიების.  
ბოროტებაზე მებრძოლი და  
არ შემგუები,  
ღვთის მოციქულთა თანასწორი,  
თანამზრახველი,  
სინმინდისათვის მეომარი,  
ყურის მგდებელი  
არადჩამგდები -  
მეჭორეთ და სხვათა მძრახველის...



2005

\*\*\*

ყველაზე იოლი - ჯიბგირის გაქურდვაა, იმიტომ, რომ მას სულ სხვისი ჯიბისკენ უჭირავს თვალი და თავისი ყურადღების მიღმა რჩება.

ქურდობა, ზოგადად უზნეობაა...

\*\*\*

სიხარბე ლუპავს ადამიანს, ერს, საზოგადოებას, ქვეყნებს... სიხარბემ წაატეხინა ცხვირი ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონ ბონაპარტს, ადოლფ ჰიტლერს და ბევრ სხვას. დიახ, ისინი სიხარბემ დალუპა და არა გმირის მანტიის და სახელის ძიებამ.



## აქაიხ ნაიონთა

ცოდვებით გვამხოვს მამალმერთი  
ქვესკნელს თუ ზესკნელს,  
რადგანაც ბევრმა დაიბრალა  
ხევისბერობა,

ვხედავ,  
ოხრდება, თახსირდება

მთელი ერობა

ამქარს ნერონთა -

საქართველო განა ელოდა?

გულხელდაკრევით

ვფიცავ რომ სჯობს

შინაბერობა,

ვიდრე უღირსმაც დაგვაბრალოს

ჭიაბერობა.

... ცოდვის კეთებით ქართველთ ბევრი -

დაუნყვილადეს,

- ქრისტეს წამების უმძიმესი

რა ჰქნა

პილატემ?!..

2005



\*\*\*

ადამიანს ცოცხალი ანგელოზების შემჩნევა უნდა შეგე-  
ძლოს, თორემ „მგელი“ და „დათვი“ თავად შეგახსენებენ თავს...

\*\*\*

გინახავთ უნაკლო სახე?..

რამდენს აქვს ორი თვალი, ორი ყური, ცხვირ-პირი, ბაგე  
და სხვა დანარჩენი, მაგრამ უმეტესს სახე არ გააჩნია მაინც...  
უსახურია, უცხვირპირო, უვიცი, ბოროტი...

ლამაზია სახე?.. ჰო, ალბათ, მაგრამ ეს სილამაზე სატან-  
ისეულიცაა, უსახო, ეშმაკი... სახიერი კი სიმშვენიერეა და  
არა სილამაზე... უსახური რა ლამაზი შესახედავიც არ უნდა  
იყოს, სულით მახინჯიც აღმოჩნდეს იქნებ...

ნუ იქნებით ყალბსახიანები!..



## მასწავლებელი

მასწავლებელი -  
სარკე არის ერის სულისა,  
მისი სინდისის და ნამუსის  
საჭეთმპყრობელი,  
მცენარე ფასობს იმ ნაყოფით,  
რასაც იძლევა,  
ნაამაგარის მირონცხებით -  
ნერგისმცნობელი...

2005

\*\*\*





კაცის ჩადენილი ცოდვა ამახინჯებს შვილს, ოჯახს, გვარს და ერს... პატარა და დიდი ცოდვა არ არსებობს - ცოდვა ცოდვაა.

აქლემისა და ნემსის ქურდებიც ხომ ერთი და იგივენი არიან!

\*\*\*

სარეველამორეული ყანა – უპატრონობის, უთოხოების ბრალია... ხნული რომელსაც გაავლებ, შიგ სიბრძნე უნდა ჩააყოლო თესლს, რომ კეთილად აღმოცენდეს... ყანა-ბაღია წიგნს წააგავს–სტრიქონები, სიბრძნით დახუნძლული, ხნულივითაა, ასოები კი სიბრძნის თესლია... თუ წიგნი ყანაა, უპატრონო ბაღჩასავით არ უნდა გასარეველიანდეს, ამიტომ უთოხოოდ არაფერი ვარგა, ცოდნის გარეშე სისულელეა ცხოვრება – ცოდნის და თოხის გარეშე ვერაფერს გამოიმარგლავ...

ერიდე ცხოვრების გასარეველიანებას, მერე მამაზეციერ-იც ველარ გიშველით!..



## ისა, მახშივაძე

რაც დაანათლა მინიერ მოკვდავთ  
იღბლად უფალმა,  
მის შემდეგ  
მისი არ არსებობს  
ალტერნატივა,  
მტყუან-მართალის გარჩევაა  
საჭირო თორემ,  
სოლომონ ბრძენიც არ ცხოვრობდა  
ისე,  
მარტივად...

2005

\*\*\*



ქართველები ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებენ, მაგრამ ათეული წლებია ვერ დაადგინეს საიდან დაიწყონ - ქვის, ბრინჯაოს თუ მაიმუნის ხანიდან...

\*\*\*

უცოდინარი ადამიანი უფოთლებო, ხმელ ხესავითაა... უვიცობა შხამიან საკვებივითაა – მოგწამლავს ცხოვრებაში... მერე თავში ხელების ცემას, ცოდნის შეთვისება სჯობს, ოღონდ ის უნდა იყოს სიკეთეზე დამყნობილი... სხვაგვარად არ შეიძლება...

წიგნი, ცოდნა ვენახს უტოლდება... თუკი ჭიგო მაგარია, ვაზი სიხარულით ეხვევა, ნაყოფს, მტევნებს ბარაქიანს იძლევა, რომლისგანაც სიბრძნენარევი ღვინოც შეიძლება გამოიწეროს... (თუმცა ღვინო ხანდახან ბრძენსაც აკარგვინებს თავს...) გერგილიან, მცოდნე ადამიანის ბაღში სიბრძნით სავსე მტევნები შემოვა!..

სიბრძნე გერჩივნოთ იგი სიგრძით არ იზომება...



## ქვეყანა ესე

ქვეყანა ესე -  
რომ გვიბოძა უფალმა ძღვენად,  
უნდა ვიგულოთ  
თავშესაფრად,  
სამყოფ-სადგურად,  
უნდა ვიცხოვროთ უცოდველად,  
თორემ უფალმა,  
უღირსთა ერთად ღირსეულნიც  
გაანადგურა.  
კაცობრიობამ ისე ბევრი  
ცოდვები ზიდა,  
ჩვენ,  
გონიერებს გვმართებს უკვე  
მოკრება გონის,  
უნდა ვებრძოლოთ,  
გადავჩეხოთ,  
ბოროტი გზიდან,  
დღეს საბოლოოდ შანსი მოგვცა  
უფალმა მგონი!..

2005



\*\*\*

სამშობლოს ცნება ყანწებში ვერ ჩაეტევა, არც მარტოდ მოსახნავი მინაა, არც – ცდა ბედის მონახევრე. სამშობლო სინმინდუა და ხვალინდელი იმედი,... რომელსაც მოვლა და მოფერება სჭირდება...

\*\*\*

მცირემცოდნე, გაუნათლებელ-გაუვარჯიშებელი ადამიანი უწყინარ კუს ჰგავს, რომელსაც შეუძლია თავი დაიფაროს, იარსებოს მაგრამ იგი მტრებისგან თავს ვერ დაიცავს... კუს ბაკანი ტანკის სიმძიმეს უძლებს, ორგანიზმი მისი არაფერს წარმოადგენს გარემოსთვის... ასეა ადამიანიც – შეიძლება თავი გაიტანოს და თუ შებრძოლების უნარი და მოხერხება არა აქვს, თავდაცვა არ შეუძლია, იგი განწირულია...

ყველაფერს ცოდნა აგვირგვინებს



## მადლი უძღვენი

უფალმა კაცად რომ შეგქმნა  
მადლი უძღვენი  
გამჩენსა,  
მკვდარს გვიპატივებს უფალი  
ჩვენ კი -  
მივხედოთ დამრჩენსა.  
ზოგი სიყვარულს აღვივებს,  
შენ -  
ბოროტებას რად სთესავ,  
თუ არ ადიდებ  
თამარქალს,  
არც ვინ გიდიდებს მათესა...

2005



\*\*\*

მე მიმაჩნია, რომ ადამიანები კოსმეტიკით თავის ნაკლს ფარავენ. განა არ სჯობს ისეთი ჩანდე, როგორიც უფალმა გაგაჩინა? მთავარი კი ისაა, სული და გრძნობები გქონდეს უხინჯო და ფაქიზი...

ნაუცბათევს, გატყაპნილს ისევ სიშიშვლე ელოდება, თუმცა ესეც იცოდეთ, ადამიანი შიშველი მაშინ კი არაა, როცა არ აცვია, არამედ მაშინ, როცა სინდის-ნამუსიც დაკარგული აქვს და სული დაცარიელებული... ამას ხომ კოსმეტიკა ვერაფერს უზამს?!..



## ჰანტიჰაი სანთლად

მე ყურს არ ვუგდებ მაქებართა  
ლიქნიან სიტყვებს,  
დაე, მაძაგონ -  
ვისაც გულზე არ ვეხატები,  
ქედდარეკილი  
არავისთან ვყოფილვარ ვალში,  
ანგელოზების ჰაერს ვსუნთქავ  
ღმერთის ხატებით.  
მხოლოდ ის ვიცი,  
არ გადავალ უფალის ნებას,  
ვანთივარ სანთლად,  
მართალ სიტყვით, ნათლის სვეტივით,  
მე იმ ხალხის მწამს,  
ვისაც შუბლზე ადევს ღარები,  
ფუი, მათ,  
ვისაც შუბლზე ძარღვი აქვთ განწყვეტილი.  
მაძაგონ იმათ,  
ვინაც არის შარვალის წონა,  
კაცობა შარვლით არასოდეს არ დაფასდება,  
ვინც თავს იწონებს შარვალ-კაბის უსახურ ხიბლით  
მალე ღვთის ნებით  
ბუნვის ხილთან გადაფასდება.

2005





\*\*\*

მავანთ სურთ, წარსული გადაგვავიწყონ, რომ შემდეგში  
უარესი უმსგავსოებები ჩაიდინონ...

(მგელი არ მოშლის მგლობასა)...

\*\*\*

წყალი თავის ნადენ კალაპოტს თუ დატოვებს, ოდესმე  
ისევ დაუბრუნდება... ბუნებაში შეუქცევადობა – ფეტიში  
მცნებაა...

\*\*\*

როცა რაიმეს ვყვებით ან ვწერთ, ზოგჯერ ცალსახად  
გონება, თუ ცალი ფეხი-მითების სამყაროშია, ცალი-რეალ-  
ობაში... თუმცა ზღაპარსა და სინამდვილეს შორის ხომ სულ  
ერთი ნაბიჯია? ალბათ შეუმჩნეველიც, ამდენად ყველაფერი  
შესაძლებელია... ამ შემთხვევაში ავტორს არ შეიძლება მო-  
ეთხოვოს ისტორიული თუ რეალური ქარგის გადმოცემა-  
ფანტასტიკა მაინც ფანტასტიკაა, თუმცა ჩანაფიქრის სწო-  
რად აღქმა და გააზრებაა მთავარი... ნუ დარჩებით სულიან  
ხორციანად მითების სამყაროში!



## საე ამაღლება

ანერიაო ყველა შობილს შუბლზე მერმისი,  
ცად ამაღლება,  
ხვედრიაო რჩეულთა, მხოლოდ;  
მხოლოდ ის შუბლი,  
რომელსაც რომ  
შერჩა ნამუსი,  
უფლის გზით ივლის,  
და უფალთან მიაღწევს ბოლოს.  
ზიზღიც და კრულვაც  
ხშირად არის რჩეულთა ხვედრი,  
დაფნის გვირგვინთან,  
ეკლის გვირგვინს  
არგუნებს ღირსსაც,  
ოღონდ ღვთის ნებას ვინც მიჰყვება  
ნესით და რიგით,  
ვერას დააკლებს უღირსთ ქვის სროლა -  
მოხვდება ვისაც...

2005



\*\*\*

როდესც გიყვარს, თუნდ წარმოსახვით, ვფიცავ - ფუჭია წარსულზე ფიქრი...

\*\*\*

ადამიანი, ვინც შენდამი ძალიან თბილ დამოკიდებულე-ბაშია და ამას გულით გამოხატავს, უნდა მიხვდე, რომ მისთვის სულერთი არა ხარ...

\*\*\*

ბუნებაში ყველაფერი ზებუნებრივად არ ხდება-ტექნიკური პროგრესი ბევრ რამეს ცვლის, მაგრამ ვისაც ბუნების ენა ესმის, ის ბუნების მბრძანებლადაც შეიძლება ჩავთვალოთ. ბუნების კანონების ცოდნით უმეტესი საქმიანობა შეიძლება მიზანმიმართულად წავმართოთ, მცირედი გამონაკლისების გარდა... ბუნების ენა-ღმერთის ენაა, დაეუფლეთ და ღმერთი დაგიფარავთ!..



## შინაბეჩა

გოგო ზის და... ბედს ელისო,  
ბიჭი ზის და... ბერდება,  
ამოაგდეს საქართველო  
კაცმა - შინაბერებმა.  
თუმც, ასაკში ძნელი რჩება,  
ცხოვრებას შერკინება,  
გოგო -  
იქნებ გათხოვდება,  
თუ უფალმა ინება.  
შინაბერა - ვინც ვირზე ზის,  
ძირს ნურამც ჩამოსულა,  
ვირი - ვირად, ქალი - ქალად,  
კაცს ვერ გავხდით ორსულად,  
ერი თუ გადაჯიშდება,  
თუ ამოწყდა ქალია,  
ისინი,  
ვინც გვიბერდება,  
განა უფლის ბრალია?..

2005



\*\*\*

დღეს, როდესაც საქართველოში ეშმაკიც კი მოიტეხს ფეხს, საქართველოს რომელიც თავბრუდამხვევად მიექანება ჯოჯოხეთისკენ - მხოლოდ ქალის მანდილი თუ გადაარჩენს...

... ქალებმა უნდა გადაარჩინონ საქართველო...

... ჰო, არსებობს ასეთი ფრაზაც...

და სურვილიც...

\*\*\*

ცეცხლიდან ფულის გამოღება ისე ძნელი არაა, როგორც მისი დახარჯვა...

ოღონდაც:

"ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო"...



## აჩი - ახად

... თუ ვიგმინეთ ბოლო სამი საუკუნე,  
მტრების გულიც  
არასოდეს არ ვახარეთ,  
ქართველ (ქალსაც) გმირად რაცხდნენ  
ჩვენი მტრებიც,  
აფსუს,  
ახლა იგივე მტრებს ვახარხარებთ.  
ერი - ერად,  
გვარი - გვარად,  
ჯიში - ჯიშად,  
არაკაცებს ჩაუგდიათ გასათელად,  
ფუი, იმ კაცს,  
დღეს ვინც ყიდის თავის  
მამულს,  
მომავალი მოიხსენებს -  
ავ - ქართველად...

2005



\*\*\*

ზესაუფლოს (პირობითად) ვერც ქვის საფეხურებით მივალწვეთ და ვერც უჟანგი ფოლადის კიბით.

ვისაც გაუკულმართებული გრძნობა აქვს, მისთვის სააქაოც დაკარგულია და საიქიოც...

\*\*\*

უმადურობამ ისე გაიდგა ფესვები, რომ ალალ-მართალი მიწის მუშაც იტყუება დღეს.

აბა რა ქნას - "ხარს რომ ხართან დააბამ ან ფერს იცვლის ან ზნეს".

წყობილების შცვლა ყველას ცვლის უკლებლივ... უზნოს გვერდით მყოფს შენაც მასავით მოგიხსენიებენ, მაგრამ მეცნიერთა გვერდით დგომით, მეცნიერად არავინ მოგნათლავს.



## სანამ სოცხლობ

მე სიცოცხლე მტრებთან ჭიდილს  
შევალიე,  
აღმართებიც ბევრი დამიძლევია,  
საქართველოს სიყვარულში შემეცილონ  
სადღეგრძელოც  
ბევრი დამილევია.  
აღმართები,  
კვლავ ბევრი მაქვს ასაკეცი,  
რაც დავძლიე - ჩემი ნათელარია,  
ნახევარი საუკუნე მომიღუნავს  
წინ ხომ კიდევ -  
ერთი ნახევარია.  
სანამ ცოცხლობ უნდა გერქვას  
კაცურკაცი,  
რომ საფლავშიც  
კაცურკაცად ჩაწვე,  
ნახევარი ცხოვრება თუ მიაყვერე  
ნახევარზე ნულარ დარდობ  
ანე...

2006





\*\*\*

ოდითგან საქებარი ერი, ახლა სალანძღავადაც აღარ ვარგა და ისე დაკნინდა, მას მხოლოდ იესო ქრისტე, წმინდა ნინო და მოციქულები თუ უშველიან, თორემ...

„ბავშვი ასველებდა და შელოცვის შემდეგ ჩაისვარა კიდეც“—ო.

ასე ჭირს საქართველოსაც...

მუხამედზე ნახევარი მსოფლიო ლოცულობს, მაგრამ რომ ცოცხალი იყოს, ქართველებისთვის მაინც ვერ გავიმეტებდი...

იმიტომ, რომ ქართველები ღირსეულის დაძირვის მეტს, არაფერს აკეთებენ. ეს მათ მართლაც „ღირსეულად“ გამოსდით...



## ბაიზა მჯილს ვისჯამთ

მსუყე ცხოვრებით ვერა ვპოვე  
სულის მხნეობა,  
"ცხიმმა და ქონმა" დაუკარგა  
ბევრსაც მეობა,  
სხვის ცხენზე ჯდომა, დამერწმუნეთ,  
დროებითია,  
საქართველოზე, დიდზე ფიქრი, მჯერა -  
მითია.  
ზოგს აბოზებენ, ზოგსაც მართლა  
ნივთად ყიდიან,  
სწორედ მიტომაც -  
ქართველები სხვაგან მიდიან,  
გულზე მჯილს ვიცემთ,  
სირაქლემას ნაღდად ვედრებით  
წინ ხელს ვიფარებთ,  
უკანალით ყველგან ვეჩრებით...

2006



\*\*\*

ჭკუისაგან ნებისმიერი კუთხით გადახრილს ჩვენში  
"ბლაცვს" ვეძახით და იგი ნურავის ეგონება მარტო სულე-  
ლის აღმნიშვნელი სიტყვა...

...არიან ჭკვიანი ბლაცვებიც...

\*\*\*

დიდ ნადავლს დიდი მხეცი მოიპოვებს, თვით მცირედს  
მიირთმევს, ტურა-მგლები კი უფრო ნაყრდებიან დიდის  
მონაპოვრით და როცა ნანადირევი აღარ ეყოფათ, მომნა-  
დირებელს მიესევინან დასაგლეჯად...

ეს ტყიურთა აქსიომაა, მაგრამ ხშირად ადამიანებზეც  
გადმოდის, გადამდებია.



## ბჰახს ისვცი?

გვარს იცვლი?  
ანდა სახელს? რისთვის?..  
რას უზამ სახეს,  
რაც ბინი გქონდა და ღვარძლ-გესლი,  
გენში არ გრჩება?  
იცის ქვეყანამ, რომ არა ხარ სული კეთილი,  
შხამი - სულის და,  
ზიზლი - გულის  
სახეს აჩნდება.  
განა ის არ ხარ, რაც იყავი,  
გველი, ქვემძრომი?  
რა სარფა ნახა, სახელ-გვარი  
ვინც გამოცვალა.  
წლები სად მიგაქვს,  
ნაჟამძმარევ ანფასს რას ეტყვი,  
"ობლის კვერიო?"  
ის ჯერ შენთვის არ გამომცხვარა,  
უფალის ძალით არც არასდროს  
არ გამოცხვება.  
იმად დარჩები,  
დაბადებით ვინაც იყავი,  
არც არასოდეს,  
არასოდეს არ დაგავინწყდეს,  
ფრთებგამოსხმული თაგუნის მწარე იგავი...

2006



დიდ გორას ვერას დავაკლებთ და ვერც ვერაფერს შევ-  
მატებთ ქვების სროლით...

\*\*\*

„კამეჩთან მოჭიდავე ხარს, რქები არ შერჩებაო“  
(ხალხური)

\*\*\*

თუ შენს გარშემო მგლები ტრიალებენ, მგლად უნდა  
იქცე თავადაც...

თუ ეშმაკების ხორუმს შეესწარ, თავადაც უნდა იცეკვო...

\*\*\*

ფიქრები ათასგვარია, ზოგი ასრულებადია, ზოგს კი ად-  
ამიანები აძლევენ კეთილ გეზს, თუმცა ხშირად ისეც ხდება,  
რომ ფიქრის სივრცე, ფიქრის კარავი მაინც ალყაშემორ-  
ტყმულია... ქამრიან მხედარს ჰგავს, ოღონდ უიარაღოს...

...ნუ დაატყვევებთ ფიქრებს, მიეცით სადინარი...



## სხუ სიზმახი

თუკი სიკვდილი თავის არსით  
საზარელია,  
ვიციტ, რომ ქვეყნად საბოლოოდ  
ყველა გავქრებით,  
თუკი ცხოვრება ტანჯვაა და  
ბრძოლა უმიზნო,  
მაშ, დაბადებას ზარ-ზეიმით  
რატომლა ვხვდებით.  
თუ სასწაულად გვეჩვენება  
ბავშვის გაჩენა,  
ვაქუხებთ თოფებს,  
არც ღრეობებს არ უჩანს ბოლო,  
ყველა ქმედებით,  
ვაახლოებთ სიკვდილის კალოს,  
ცრუ სიზმარია ეს ცხოვრება,  
მირაჟი მხოლოდ...

2006



\*\*\*

იაკობი ღმერთს რომ შეეჭიდა, ამით ადამიანთა დაუმორჩილებლობაზე მიანიშნა, თორემ კარგად იცოდა - უფალს დამმარცხებელი რომ არ ჰყავდა...

\*\*\*

შურიანი ადამიანების გვერდით ცხოვრებას, მგლების ხროვაში იცხოვრო ჯობია, თუ არ დაგგლიჯეს, მგლობას მაინც გასწავლიან...

ადამიანებმა მაუგლი ტყიდან გამოიყვანეს და მის აღმზრდელ ტყიურებზე ნადირობა შეასწავლეს.

არ არსებობს ადამიანზე უფრო მხეცი არსება...



## საქართველოში მოხდა თემიდა

საქართველოში მოკვდა თემიდა,  
პინას დასძლია ნაგრამმა ეშმის,  
ნახდა კაცობა, ნამუს-სინდისი,  
რაც ეროვნული გვაქვს, შეიბღალა  
ძრწოლით გოდება აღარვის ესმის.

საქართველოში მოკვდა თემიდა,  
რითაც მოგვწონდა თავი ძველთაგან,  
თუკი იწყება ძლევა ჩემიდან,  
თუკი დაგვცინის მუსაც, ხემიდაც  
მაშ,  
ტყვიაც გველის უღვთო მკვლელთაგან.

საქართველოში მოკვდა თემიდა,  
როცა აღზევდა ჟინი კაცთა კვლის,  
ვინც თანამოძმის სისხლით ვერ ძლება,  
ვინაც დაცემას ჩვენსას ვერ ხვდება  
სასჯელს ელოდეს ყველა -  
კათაკმლის!..

2006





\*\*\*

სხვისი სურვილების უგულვებელყოფა, საკუთარი იმიჯის დაქვეითების დასაწყისია...

\*\*\*

სხვისი გემოვნების დაკმაყოფილება, საკუთარის გამოვლინება არ არის...

\*\*\*

ვეფხვის ნაკლანჭები ნაღდად მორჩება, სიტყვით ნაფრჩხენი კი - არა...

... ასე დაიკოდა დათვი ქალის ენით.



## აღუჩეხაო

ამღერდებაო, გედი ერთხელ -  
და მერე კვდება,  
აყვავდებაო, კაქტუსიც და -  
სულ მალე ხმება,  
საიდუმლოსაც გვამცნობს, თურმე,  
ერთხელ ფოთოლი,  
ნაჭრილი თავიც  
შემზარავ ხმით ამეტყველდება.  
წარწყმედილია განა ყველა თავმოკვეთილი?  
წმინდანთაც ჰკვეთდნენ ხშირად თავებს  
უკეთურები,  
სულის წაწყმედას - თავის კვეთა  
ნაღდად სჯობია,  
დასასრულია, თუკი ამით  
უბედურების,  
ძალაუფლება ხელთ გიპყრია?  
იყავი კაცი.  
ხალხის სიყვარულს მით მოიმკი,  
უნდა გჯეროდეს,  
თორემ კაცთა კვლით თუ აღზევდი,  
არ დაივიწყო,  
ვით დაისაჯა იოანეს მკვლელი ჰეროდე...

2006



\*\*\*

შურისძიების ბინძური მიზანი მდაბიოებსა და ნა-  
ძირლებს ახასიათებთ, წმინდა ინტელექტუალთ და ერუ-  
დირებულებს ამგვარი რამ არ ახასიათებთ...

(არიან ერუდირებული და მათთან მიახლოებული ადამი-  
ანებიც...)

\*\*\*

„ენით დაკოდილს ცულით დაკოდილი სჯობია“ო...  
ნურავის ეგონება ცუდი სიტყვების წამოძახილით სხვებს  
ვავნეო... იგი თავად დაგაზიანებს...

უფლის არ გჯერათ?..

გახსოვდეთ ბუმერანგი!



## თუჩი...

მე არ მინახავს, არასოდეს ტურების ჩხუბი,  
თუმც დასაბამით  
ასე მოსდგამთ ნადირთა მოდგმას,  
და თუ დალანდეს მტერი მათზე  
უძლიერესი,  
უმალ შეწყდება  
ღრიანცელი, ძლედა და კორტნა,  
გენებში მოსდგამთ სატურეთს თუ  
სამგლეთს ოდითგან,  
ძაღლებშიც ხდება წენვა-ძლედა  
და სისხლისდენა,  
დათვის ბურდღული თუ ჩაესმათ დამტერებულებს,  
ჩხუბი ნელდება -  
და იწყება ტყიურის დევნა.  
თუკი ძაღლები მაინც ღრენენ  
და ერთურთს ფხრენენ,  
ვერას გახდება ამათ შორის მაშინ მესიაც,  
... ამაო არის,  
დადევნება გარეულ მტერზე,  
შემოპარულზე -  
შინაური უარესია...

2006



\*\*\*

ყოველივე კარგი, რაც ჩემში არის, დედისგან გამომყვა. დედას ანგელოზებთან ვაიგივებ, ვინაიდან, როგორც ყველა დედა, იგი ჩემთვის უალრესი სინმინდისა და სათნოების ეტალონი იყო.

დედა მინერგავდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, საზოგადოებისადმი, ხალხისადმი პატივისცემას და მოკრძალების აუცილებლობას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ არ გამაჩნია მანკიერებისკენ მიდრეკილება...

დასავლურ ტესტებში და უნარ-ჩვევებში სწერია: არ უნდა დაუთმო ადგილი არც ხეიბარს, არც მოხუცს და არც ფეხმძიმე ქალს, ნაყიდი ადგილი შენიაო...

ეს შეგონება ქართულ სინმინდეს გაანადგურებს...



## ღმერთო

... კლდიდან ნასკუპარ ნადირივით  
თავზე გვაცხრება,  
ულმობელ დროის ავკაცების ნაავკაცარი,  
აღარ აქვს ბოლო ღრენა-ღრჭენას -  
(როდის დათბება...)?  
რომ ერთურთს აღარ შევყაროთ  
თვალში ნაცარი.  
ღმერთო -  
შემარგე სადღეგრძელო ჩემი ქვეყნისა,  
მეც ერთ მეხოტბეს -  
ღელე-ღურდნის, მთა-ბარ მდელისი,  
სამხიარულო სადღეგრძელოს  
კვლავ თუ მაღირსებ,  
დამალევინე -  
უტკივილო საქართველოსი!..

2006



\*\*\*

სადღეგრძელოდ საქართველოს სიყვარული გვყოფნის, რომელიც ღვინიან ჭიქიდან თუ ყანნებიდან შხეფებად ამოჩუხჩუხებს... დულს ღვინო დაღვეამდე - დაე, ეჩუხჩუხოს, ედულოს და ელაპარაკოს მშობლიურ ენაზე... ეშხეფოს და ეჩქეფოს, ოღონდ უფლის წინაშე სიკეთედ დაღვრილიყოს ჩვენთვის...

ვინც ღვინოს უკეთურად მოეპყრობა, თავად იწვნევს ღვინისგან სიმჟავეს და სიმწარესაც...

\*\*\*

ძალღი იმიტომ კი არ ჰყეფს, რომ სხვები შეაშინოს, თვითონაც ეშინია და იმიტომ... ზღვაც იმიტომ კი არ ღელავს, რომ ეშინია, არამედ ჩვენ გვაშინებს... ქვაზე გაზრდილი მცენარე იმიტომ კი არ ებლაუჭება ლოდს, რომ დაშლისგან დაიფაროს, არამედ თავისი არსებობისათვის... ამდაგვარადაა ადამიანიც-იმისთვის კი არ ცხოვრობს რომ, ჭამოს მარტო, (ასეთები-მეშჩანები არიან) არამედ იმიტომ ჭამს, რომ იცხოვროს და სიცოცხლე გაიხანგრძლივოს... პური არსობისა კი საშუალებას აძლევს, ძალ-ღონე და ენერგია სიკეთისათვის მოიხმაროს...

ესაა მისი დანიშნულება...

ნუ შეაქცევთ ზურგს ამ დანიშნულებას!..



## შენთვის მოვხვდები

გაუხარელო,  
და ბედკრულო, ჩემო ქვეყანავ,  
ავ მედროვეთა საქმით საით მივექანებით,  
მე რომ ვიცოდე,  
ჩემს სიკვდილით ხალხს ენამლება,  
დღესვე სამარეს უყოყმანოდ  
მივებარები.  
ნატანჯ-ნაჯიჯგნო,  
დაჩეხილო და დაფლეთილო,  
გადაფერილო,  
ავკაცური სოდომ-ცოდვებით  
ნამლად გერგები, მაცოდინა -  
შენთვის მოვკვდები,  
ვარდებს არ ვითხოვ -  
გამაცილონ გოროხ-ლოდებით...  
... ოლონდ გენამლოს, ჩემო სამშობლოვ -  
შენთვის მოვკვდები...

2006





\*\*\*

ნუ დაუმეგობრდები გუშინდელ მტერს, თუ შეურიგდები ასეთ მტერს, ის ყოველთვის შენს დამდაბლებას, გათახსირებას და განადგურებას იცდილებს...

... ერიდეთ გუშინდელ მტერს...

\*\*\*

რაც არ უნდა მოიშინაურო გველი, იგი ბოლოს მაინც დაგგესლავს, გინდაც სიყვარულით მოსდიოდეს.

\*\*\*

ერთერთ წიგნში წავაწყდი ასეთ წინადადებას-მეტად ლამაზი სანახავი იყო ფიქრით ფეხმძიმე ქალწული! (ლ. ალ-ფენიძე). ...ო, რა სანატრელია, ფიქრებით რომ იყვნენ დაფეხმძიმებული ქალწულები და შემდეგ, რა თქმა უნდა ქალებიც, ოჯახისა და ქვეყნის ასაყვავებლად?..

გვეღირსება ასეთი ფიქრებით დაფეხმძიმებულები?..

ეჰ, რას ვიზამთ... არც ისე ბევრია ნამდვილად დაფეხმძიმებულნი... მაგრამ მათი საფიქრალი სულ სხვა რეღებზეა შემდგარი... ძნელია წინასწარ ყველაფრის გამოცნობა...

...თუ ბიოლოგიურ ფეხმძიმობას ვერ ეღირსეთ, იცდილეთ, პატიოსნებით იყოთ ფეხმძიმე... ვგონებ სჯობია!..



## სიბეჩაძეაო

სიბერემდეო -  
სიქაჩლისთვის უნდა მზად იყო,  
ჭკვიანი ხალხის ნათქვამ-ნაცადი  
მუდამ მართლდება,  
უბედურ კაცსო -  
ქვა აღმართშიც წამოეწევა,  
ობლის კვერიო?..  
ცხოვრებაში ეს აღარ ხდება.  
საპატიმროში -  
კაციც ხვდება და არაკაციც,  
დედის მუცლიდან -  
კაციც ჩნდება და არაკაციც,  
საპატიმროში -  
დედაც ჯდება და არაკაციც,  
მამინაცვალი?..  
კაციც არის და არაკაციც.

2006



\*\*\*

წინაპრებმა დაგვიტოვეს ისეთი ქართული ასომთავრული, რომლის ყოველი ანბანი ქებათ-ქებაა მზის, მთვარის, გუთნის დედის, ფარ-შუბის, მხედრის, ნამგლის, სახნისის და მწყემსების იარაღის-კომბლისა, კიდევ ბევრ სხვათა, ხოლო უმეტეს ასო-ბგერაში ფარ-შუბის და ხმლის განსახიერებამ, ასოთშემქმნელები მიიყვანა იმ შეგნებამდე, რომ ქართულ ანბანს მხედრული ანბანი შეარქვეს... საქართველოს წარსული კი მხედრის იარაღზე იყო დამოკიდებული ნამდვილად...

მოდით, მომავალი საქართველოსა, ვინატროთ მხოლოდ მზე, მთვარე, ვარსკვლავებივით გაბრწყინებული...  
...ჩვენ ეს შეგვიძლია!..



## eიო სანახანა

ნამომართულან მრისხანებით ფიქრის გორები,  
როგორც ეგვიპტის უდაბნოში  
პირამიდები,  
დაუბჩენია საზარ ყოფას ხახა და  
გვილრენს,  
თითქოს გვაშინებს -  
დრო არისო ხმის გარინდების.  
ნამომართულან –  
საზარელი ფიქრის გორები  
დრო სალახანა გვაბოგინებს  
ჟანგიან ჟამით,  
უფლობს სატანა ცისქვეშეთში უკვე -  
მოკვდავებს,  
სიკვდილის დოზებს გვალევიწებს  
შხამიან ჯამით...  
იქნება ჩადგეს ქარიშხალი,  
დადრეკს ავი დროც,  
თავი დადრიკონ შიშით თუნდაც დიდმა გორებმა,  
სიკვდილის ქვა თუ მოგიგორდა ეზოში,  
მაშინ,  
არა ჰხამს მისი სხვა მხარისკენ  
გადაგორება...

2006



\*\*\*

სჯობს უფლობდე, ვიდრე გფლობდნენ...

\*\*\*

ბოროტს უნდა აჯობო, თორემ, კეთილს ჭიაყელაც გადა-  
ახტება...

\*\*\*

წააგებ - იცინე, მოიგებ - იცინე, რომ ვერავინ აწონოს  
რა ჭკუისა ხარ...

\*\*\*

„მზე დედა ჩემი, მთვარე მამაჩემიო“-ქართულ მახვილ-  
სიტყვაობაშია ეს ბრწყინვალე ფრაზა. მზე-მართლაც ყველაფ-  
რის დედაა, წარმომშობი და მაცოცხლებელი, ხოლო მთვარე  
გლესკაცისათვის, ქართველთათვის მამა იყო ყოველთვის,  
რომელიც ძალას მატებდა ომშიც და მშვიდობიანობაშიც.

სავედრებელ-სახოტბო ფრაზებში სულ მზე და მთვარე  
ეა მოხსენიებული, მაგრამ მთვარე და ვარსკვლავები უფრო  
აღმატებულია. ნუ დაგნატრებოდეთ ქართველებო მზიან-  
მთვარიანი-რაც სუფევს დედამინაზე... სიყვარული და სიხ-  
არული გაგმრავლებოდეთ...



## ბაიხბინაო ხიდუა...

ველარ დავლიე ვერასოდეს  
სუფთა წყალიო,  
როს დამეზარდნენ ბოკვრებო -  
იჩივლა დათვმა...  
წუთისოფელი მართლა წუთად მოგვეჩვენება,  
თუ მადლ-მირონით ნასაქმარის  
დაინყე ათვლა.  
დიდი ლოდები -  
შიშველ ხელით არ აინევა,  
ამას რად უნდა დამტკიცება,  
ან სულაც ფიქრი,  
გაირბინაო ხიდზე გიჟმა  
ჭკვიანის ფიქრში,  
დრო-ჟამის ცვლაში, იმედებიც  
მოდის და მიქრის...

2006



\*\*\*

ყველას რომ ერთნაირად გაუღიმო, სიკეთეში მანაც არ ჩაგითვლიან და მაიმუნობა გარანტირებული გაქვს. სულ პირქუშობაც არ ვარგა - დესპოტად ჩაგთვლიან.

ადამიანები კი ამათ შორის საზომს ვერასოდეს იპოვნიან.

სჯობს სხვებს ნახევარგიჟად მოაჩვენო თავი...

ბრძენი სტალინიც კი ვერ მოკვდა ბუნებრივად...

\*\*\*

თავისუფლებას ყოველთვის თან სდევს დაპყრობის, მონობის, სულაც მოსპობის აჩრდილი, თუმცა არ არსებობს მონობაც და სხვა რამეც, რომელსაც არ ელოდეს თავისუფლებით ტკბობა. მონობა დროებითია, თუმცა-ვერასატანი, გაუსაძლისი, მაგრამ დროებითი... ვიდრე დრო არ გაჩერებულა, ყოველთვის შეიძლება ბრძოლა და ფიქრი ხვალეზე...

ეს ხვალე ჩვენთვის, ქართველებისთვის ისეთი დამდგარიყოს, ღვთისმშობელსაც რომ გაუხარდება და ქართველთა კარგის მოსურნეთაც... იყოს გამონაკლისი-ალბათ მტრებსაც...



## ახასოდეს ამაჟვია ბზები

არასოდეს ამრევია გზები,  
მტერ-მოყვარეს პირმცინარე ვხვდები,  
ცხოვრებას თუ ხარის შუბლით ვებრძვი  
ჩემი ხალხის სიყვარულით ვთვრები.  
მზად ვარ -  
ტყვიებს შევაგებო მკერდი,  
თუკი ამას გამიმზადებს ბედი,  
ო, უფალო,  
მუხლმოდრეკით გვედრი,  
აგვაცილე მათხოვრული ხვედრი.  
ცხოვრებაში სულ სიკეთეს ვთესდი,  
ვლოცულობდი -  
უკუნ ღამეს ვცრეცდი,  
ჩვენს ხალხისთვის  
მშვიდობას მეც ვჭედდი,  
არც სიკვდილს არ დავუდრიკე  
ქედი...

2006





\*\*\*

გველს სოროდან ამოდრომის საშუალება არ უნდა მისცე,  
თორემ სოროდან უწყინარი თხუნელაც ამოაგდებს...

\*\*\*

ისე მაღლა ნუ მოინდომებ აჭრას, არნივმა წაგილოს...

\*\*\*

რაც ვიცით, ის ალბათ (უეჭველად) სწავლით შევიძინეთ  
(სულაც ღვთიური გონით:...) მაგრამ რაც არ ვიცით, იმის  
სწავლის რეალური გზა კითხვა ან შეკითხვაა... დღეს ესენი  
გააიოლეს კომპიუტერიზაციით, რაც, ვფიქრობ სავალალო  
შედეგამდე მიგვიყვანს...

თოხი და ბარი, ხარ-ულელი და გუთან, ხვნა და თესვა  
ყოველთვის ნაცოფის მომტანი იყო, თუმცა, კომპიუტერის  
ეპოქაში, კომპიუტერი ბარ-თოხივით უნდა გამოიყენო,  
თორემ არც ბარ-თოხზე მიჯაჭვას ვურჩევდი ვინმეს...



## ღაე, აბონოთი

არაკაცური,  
არასოდეს არ მითქვამს რამე,  
არც უკეთური,  
უხამს საქმის არ ვარ ჩამდენი,  
საჭოჭმანო და  
სახსენებელამოსანყვეტი  
თვალსანიერში  
მე მინახავს იცით რამდენი?  
დაე, ეგონოთ,  
ვისაც ძალუძს "ისე გაგება",  
ვიცი,  
იესოც აცვეს ჯვარზე  
"ძმებმა" ღალატით,  
არა ზომავენ  
მოყალბეთა ადლით კაცობას,  
უფლის წინაშე ვინც წმინდაა,  
რჩება მარადი...

2006



\*\*\*

პირიდან უსიამოვნო სუნი და ღვარძლიანი ბუნების  
სიმყრალე ერთნაირად ამოდის.

პირველს რაღაც ეშველება, მეორეს სიკვდილის ან-  
გელოზი თუ უნამლებს.

\*\*\*

ათასწლეულების მანძილზე, ქართველების ცხოვრება-  
ზე გადავლილმა ომებმა, ქართველს, სულ, მშვიდობის  
ნატვრა და სიყვარული ასწავლა. ამიტომაც, ყოველ ქართვ-  
ელში (თუ არა-მაჰატიეთ...) ჩადულაბებულმა, თავდაცვის  
ინსტიქტმა, ყოველდღიურობამ, გამოუმუშავა მისალმების  
მშვიდობიანი, სიყვარულნარევი, მზის სითბოთი გამთბარი  
ფრაზა: „დილა მშვიდობისა“, „სალამო მშვიდობისა“, „ღამე  
მშვიდობისა“, „მშვიდობით გეველოსო და სხვა...

...ჩემო კარგებო-, „მშვიდობიანი მომავალი“...



## ჯასი ხომ ბეჩქვას

კაცი რომ გერქვას,  
უნდა იყო ქველ საქმის მქმნელი,  
ხალხი თუ გლოცავს,  
მადლ-მირონად წაგყვება ბოლოს.  
ხეს თუ ვერ დარგავ,  
შვილს თუ ვერ გაზრდი,  
ილოცე მაინც,  
კაცი თუ გქვია - ცოდვა მაინც არ ჩაიდინო,  
დარჩი ბოლომდე პირანკარა  
წყაროს წყალივით,  
წყარო - წყაროა  
მაინც რაცუნდ მღვრიემ იდინოს...  
ერთ აგურს დასდებ სასიკეთოს  
დაგლოცავს ღმერთიც,  
გაგიმრავლდება ერთი ასად  
მადლის კეთება,  
სამოთხეც გინდა, სიმდიდრეც და  
კაი სახელიც?  
ო, უგუნურო,  
გიპატიონ მაშინ ღმერთებმა...

2006



\*\*\*

ადამიანთა გულებში სიქველით უნდა ჩადულაბდე, თორემ თუ ქვებზე მიდგება საქმე - პირამიდებსაც არა უჭირთ-რა...

\*\*\*

ქვანჯია ადამიანს - ებრაელს უწოდებენ. საქართველოში კი ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო...

\*\*\*

ებრაელივით ნუ მოიქცევი, რომელსაც იატაკქვეშ ხურდა ჩაუვარდა და ასიანიც განგებ ჩააგდო - ხურდის გამო იატაკის ანგრევა არ ღირსო...

\*\*\*

სარკე ყველა მინისა არაა... სულის სარკეც არსებობს... სარკე შეიძლება გაგებზაროს, დაიმსხვრეს, მაგრამ სულის სარკე რომ გაგებზარება, ამას რა ეშველება?.. მას ჩვეულებრივ სარკესავით ვერ შეცვლი!..



## ხოცა თვით ბჷია

როცა თვით გჷია  
და შენს ლუკმას სხვას უნილადებ,  
მაშინ გერქმევა  
ღვთისნიერი კაცის სახელი,  
როცა უღლიდან ხარს გაუშვებ  
და სხვას გაატან,  
კაციც მაშინ ხარ,  
ამოგინყდეს მეშურნ-მძრახველიც.  
კაცს რესტორანში არ სჭირდება  
ძალით შეთრევა,  
ესრეთ პატივი -  
ხშირად დიდი ჩხუბით თავდება,  
მიზეზ-მიზეზით  
გაგილანძღვენ მაშინ კაცობას,  
შენი იმიჯიც ჩაფლავდება  
და დამთავრდება...

2006



\*\*\*

სულ რომ სხვის ანკესზე წამოეგო თევზად მაინც არ ჩაგთვლიან...

\*\*\*

დახუჭული თვალებით მარადისობას ვერც დავინახავთ და ვერც შევიგრძნობთ...

\*\*\*

არ დაიჯეროთ, რომ გითხრან, ჭაში წყალი არ არისო, თავად დარწმუნდი, ოღონდაც თავი ხიფათში არ ჩაიგდო. ისე ღრმადაც ნუ ჩაიხედავ, რომ შიგ ჩაიხრჩო...

\*\*\*

სხეული სულის დამცავია, თუმცა, რატომღაც მას სულის (თუ სულიერების) ჭუჭყად თვლიან... ვიცით, რომ სული უკვდავია, მაგრამ ყველას სული ერთნაირი არაა და ყველას სულსაც ერთნაირი ჭუჭყი არ ფარავს... ის, რომელიც საპნით და სხვა საშუალებებით მოიცილება, მართლაც ჭუჭყია, სულიერებას რომ დაფარავს, იმ ჭუჭყს რა ეშველება?..



## ხა მამძიმებს

ცხოვრება რომ ჩაიხლართა  
დაეწყობა, ნეტავი?  
თუ შევრჩები ამ ქვეყანას  
როგორც ჯიქი მხედარი?  
სულში რაღაც რომ ჩასახლდა  
რაღაც მამძიმებს რა არი?  
ვიცი,  
ცოდვა არ მამძიმებს  
სხვა რამ  
შემაზრიალა?  
იქნებ, ყოფა ამიტირდა?..  
მაშ -  
დამრჩება იარად!..

2006





\*\*\*

უფალმა მჯობნის მჯობნიც გააჩინა და გლახაკზე გლახ-  
აც, მაგრამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა დედამინაზე...  
მდიდრებს რა ემართებათ?..

\*\*\*

ფულით ბედნიერება ქალის სიყვარულს ჰგავს, ფული  
თუ ბევრი გაქვს, საქმეს გააკეთებ. თუ ფული ბევრი გაქვს,  
ქალს მაშინ უნდიხარ, დაგელევა და ქალის სიყვარულიც  
გაქრება. ქალი ღუმელს ჰგავს - როგორც შეაყრი შეშას, ისე  
გაგათბობს, ვერ შეაყრი და სულ სიცივე გექნება...

\*\*\*

ნიჭიერი ადამიანის ცნობიერება არ უნდა დარჩეს  
გამოუყენებელი, ფუჭად არ უნდა ჩაიფერფლოს პიროვნებ-  
ის შესაძლებლობა... ხალხს, საზოგადოებას უნდა მისცეს იმის  
მაქსიმუმი, რაც მის გონიერებას არ აღემატება, თუმცა ასეთ  
ადამიანებს ყოველთვის ხვდებოდათ წინალობა. ნიჭიერ-  
თათვის კი გადაუღალახავი წინალობა არ უნდა არსებობდეს...



## ზობჯი

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასო,  
ზოგჯერ თქმითაც დაშავდება,“  
ცოდვიანს ჯობს უცოდველი  
არასოდეს გაშავდება.  
მშრალი გზა სჯობს ტალახიანს  
გზა,  
რომელიც არ თავდება,  
სხვისთვის ორმოს გამთხრელი სჯობს,  
სადაც თვითონ ჩავარდება.  
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის,  
სიტყვაც სიგრძით იზომება,  
ქალი ენით თუ დაგწყევლის,  
თურმე მკერდი ილოცება.  
კეთილი -  
ბოროტს მუდამ სჯობს,  
ბნელი კი მზით განათდება,  
ავი სიტყვა – ავგულისთვის  
არასოდეს არ მთავრდება...

2006



\*\*\*

სათნობას და კეთილშობილებას ვერაფერი შეეწონება.  
იგი ვარდსა ჰგავს რომელიც სიდიდით და სილამაზით  
კი არა, სუნით ფასდება...

\*\*\*

ებრაელს იმიტომ უწოდებენ ებრაელს, რომ, სიძუნწეში  
მსოფლიოში ვერავინ უსწრებს, სწორედ ამიტომაც, მათი  
მოგონილია სიყვარული, რომ ფული არაფერში გადაიხა-  
დონ...

\*\*\*

სიყვარულის საზომი ხელსაწყო ჯერ არავის მოუგონია...  
სიყვარულით თავბრუდახვეული სხვა ყველაფერს მეორეხ-  
არისხოვნად თვლის...



## მსიხაიუს ზაზა

გაღმა ნაპირზე თეთრ კვერცხს დავდებო,  
იფიქრა ყვავემა,  
მერე ბულბულსაც გალობაში  
ვაჯობო, იქნებ,  
გაიფრთხილა,  
ხმაჩახლეჩით ამოიხავლა,  
და მუხის ხიდან მოადინა ზღართანი  
იქვე.  
როცა ვერ შესწვდა ფისუნა ძეხვს -  
– მყრალია ესო –  
დაიკნავლა და  
საძეხვედან გამოიპარა.  
... მართლაც -  
იკმარე რაც გარგუნა სარჩოდ  
უფალმა,  
სულის საზრდოსთვის  
ზღვა კი არა -  
მცირედიც კმარა...

2007



\*\*\*

ხარბ და გაუმადლარ კაცთან თუ ძალიან "მსუყე" მეობას გამოიჩენ, ჩათვლის რომ იმსახურებს და თუ გაღარიბდი ასე მოგნათლავს: - აბა, რა ეგონა, ავსებას დავსებაც მოსდევსო და ზურგსაც შეგაქცევს...

\*\*\*

ახალგაზრდობას, თავის წინამორბედზე ყოველთვის შეაქვს ეჭვი მათს საქმიანობაზე, თუმცა ხშირად, უსაფუძვლოდ... დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი ამის ამსახველია, თუმცა დავამატებდი-თუ წინ, ხვალინდელი დღის იქით, ბრძნულად არ გაიხედავ, განვლილზე, გარდასულზე მიბლაუჭება არაფერს მოგვცემს სასიკეთოს... „ხიდი საშვილიშვილო-გადეო"... ამაზე კარგი სხარტულა ქართულ აზროვნებას არ გააჩნია სხვა... ერთსაც დავურთავ კიდევ-წარსულის მწარე გამოცდილება მუდამ სამაგალითოდ უნდა წავიმძღვაროთ...

ნუ დაივინყებთ წარსულს და ააყვავეთ მომავალი...

შეეშვით ეჭვიანობას, ახალგაზრდებო!..



## ათასში ათხუთხეობი

ნუ შეუდრკებით უტიფარი დროის ანგლობას,  
არც ბოროტთაგან შეუშინდე ღრენას და ყეფას,  
თუმცა,  
ძნელია ცხოვრებაში ჭაპანის წევა.  
(ადვილი არის სხვის ხელებით  
ჭინჭარის კრეფა).  
ავ საქმით ყოფას მცირე მადლი  
მუდამ სჯობია,  
უნდა ილოცო, თუ შეაღწევ ტაძარის ბჭეში,  
ხელის განძრევა გიშველისო  
ჩავარდნილს წყალში,  
უნდა იცეკვო, თუ მოხვდები ხორუმის წრეში.  
ჭკვიანი კაცი  
ცხრაკლიტულებს ანგრევს და მიდის,  
ოლონდ  
ბოროტი უნდა დარჩეს ეშმაკის წერა,  
ტკბილი ჰანგებით ვერ დაგვატკბობს ყვავი  
ვერასდროს,  
მხოლოდ ბულბულებს შეუძლიათ  
ვარდისთვის მღერა...

2007



\*\*\*

შეგნებულად მიყენებული ბოროტება შეუგნებლად მიყენებულზე ასჯერ მძიმეა...

\*\*\*

უბედური ის კი არ არის, ვისაც უყვარს, არამედ ის, ვისაც არასდროს ჰყვარებია...

\*\*\*

სიყვარული საკერებელივითაა - იგი ვერასოდეს უხამდება მეორეს...

\*\*\*

ღმერთმა ადამი რომ გააჩინა, მისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობის რეგლამენტი არ დაუნესებია... ეს რომ პირიქით ყოფილიყო, დღეს ჩვენ არც ვიქნებოდით... დედამინაზე კი ლიმიტირებული სიცოცხლე მაინცდამაინც სახარბიელო ვერაა, ამიტომაც, გრძელდება სიცოცხლე...

ვინმეს სიკვდილი-ვადის ამონურვას არ ნიშნავს!..



## ნახვისთვისაც?

ნატვრისთვისაც?..  
ზღაპარშია მხოლოდ და მხოლოდ,  
მძლეველი მტრისა -  
არა ტყვია,  
ჭკუაა ბრძენის,  
ვინაც გადახტა არხს გადაღმა  
„ჰოპს“ ის შესძახებს,  
(ხმალი, დამბაჩა, ფარ-აბჯარი  
დიაცსაც შვენის).  
ბოლოში განა გატკბილდება  
მწარე ცხოვრება?  
შიგ თუ არ ყრია -  
ჩამოგიცრის რამეს საცერი?  
ათასში ერთხელ თუ იჭერს თავს  
კატა მჩხავანა -  
... ფოლადი ცეცხლში ინართობა და  
უროს დაცემით...

2007





\*\*\*

ადამიანის გონება ეძებს შეუცნობელს იმ წყვილადში, რასაც ვერასოდეს ვერაფერი ვერ ანათებს...

\*\*\*

ყველას მართებს წარსულის ფიზიკური და სულიერი ჭუჭყისგან განთავისუფლება და ახალი ცხოვრების დაწყება, მაგრამ გაგიგონიათ-ისევ მსოფლიო გადანაწილება აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი... არა, ადამიანები არც წარსულს დაივიწყებენ, მაგრამ არც ჭკუას მოეგებიან წარსულის გაკვეთილებით...

შეგონებაა: „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“ და კიდევ-„ნუ ესვრით წარსულს პისტოლეტს, თუ არ გინდათ რომ მომავალმა ზარბაზნით გიპასუხოთ“...



## ახანოქს

ქურდს ხელობად ქურდობა აქვს  
არასოდეს ღონდებაო,  
მეექვება, თუმცა თქმულა,  
"ქურდის ქურდი ცხონდებაო",  
კაცის თავი ქურდის ხელით  
არასოდეს გორდებაო,  
(მუცელი მუცლობას იზამს  
უპატრონო ღორდებაო).  
უყაირათოდ ზღვაც ილევა,  
არც მთა ნაკოკოლდებაო,  
არაყი თუ თავლიად დგას  
უსმელადაც ქროლდებაო.  
ფაიფური, გინდაც მინა,  
არც ქვა არ გაბროლდებაო,  
ასეც თქმულა -  
ცოდვიანი, არასოდეს ცხონდებაო,  
ავადმღრენი ძაღლის კუდი  
არასდროს გასწორდებაო.  
(ძნელი არის - უსახურმა მოიპოვოს წოდებაო).  
ბრძენი მუდამ ბრძნულად განსჯის,  
არასოდეს ყოვნდებაო,  
(თევზს თუ თავი წაანყვიდეს, ბოლოდან აყროლდებაო).  
ქვეყნად ერთი ფასი ადევს  
ქურდს და... ცუდად შემნახველსა,  
ქურდი - ნაღდი ქურდი თუა  
არც დაგიდევს ნათელ-ბნელსა...  
(ყურძენი თუ გიოხრდება, ნუ დაამტკვრევ საწნახელსა)  
... მერე გინდ ცოფი შეგყრია  
გინდ დაუშხამიხარ გველსა...



\*\*\*

ყველაზე ძნელია საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება, ყველაზე ძნელია ადამიანმა პატიოსნების პატიოსნად დამტკიცება შეძლოს, არ დაჯერება? დიახ, ესეც და...

...ადამიანის ეგოიზმიც. დიახ, არა მარტო ეგოიზმი, შურის ქაობივით აშშორებული დამპალი ეგოიზმი...

ადამიანებს ხანდახან ეგზოტიკური ქარაფშუტობა ლუპავს... ადამიანი ფეხებიდან ცივდება, თავდაპირველად კი გულიდან... და ვაი, ასეთ გულგაცივებულთაშორის მოხვედრილს!..

\*\*\*

ძნელია, როცა ადამიანი იმის როლს ანსახიერებს როგორც თავად არ არის... ადამიანები მამაზეციერს კატეგორიებად არ დაუყვია... ეს ბოროტება სატანამ ჩაუნერგა ადამიანებს... ამიტომაც, ძნელია ის როლი, რომელიც მეფეს, ხელმწიფეს არ ეკუთვნის... ხომ ვიცით, რომ, ვეფხვად ქცეული თაგვი, კატის გამოჩენისას ისევ თაგვივით კანკალებდა... ეს იგავი კი არა, ჭკუის სასწავლია ნებისმიერისათვის...



## ბანა

თვითმკვლელობაა განა ხეზე ჩამოკიდება?  
ან სულაც გულში დანის დარტყმა,  
ან ტყვია თავში?  
უმწეოთათვის სიცოცხლის გზა ისემც მოკლეა,  
თუმც არც თვითმკვლელი არ ისურვებს  
მოყოლას ზვავში.  
თვითმკვლელობაა - თითქოს ვითომც  
ჩირქის ჩამრეცხი,  
მაგრამ ამისთვის ბევრს არა აქვს  
ნერვები რკინის,  
თვითმკვლელობა თუ დააამებს  
თითქოს იარებს,  
თორემ ვერასდროს ვერ გადაშლის  
სულიერ ტკივილს.  
არ არის ძნელი გადახტე წყალში,  
ანდა უფსკრულში.  
არც ტყვიის დახლა და არც ხეზე ჩამოკიდება,  
სულიერ ტკივილს თუ უშველის  
სიტყვა - ბოდიში,  
მაშინ სიმწარეს - თვალზე ცრემლის ჩამოდინება.  
... კრძალავს უფალი -  
გონს მოეგეთ, ნუ წაწყმდებიტო,  
კრძალავს ყურანიც,  
ბიბლიაც და ბევრი კანონიც,  
არ ღირს ნამდვილად  
თავის მოკვლა ტკივილის ფასად  
არც დღევანდელი ყოფის გამო  
ბრძოლა და ომი...

2007



\*\*\*

ცხოვრებაში მიზანი გამოკვეთილად არ მქონია, სურვილი, მქონდა სიამოვნება მიმენიჭებინა ადამიანებისათვის, რასაც ვაღწევდი ჩემი ნამუშავევის დადებითი შეფასებით, რაც ჩემშიც თავისთავად იწვევდა კმაყოფილებას, ეს კი იგივეა, რომ ხალხიც კმაყოფილია და სიამოვნებს.

სხვა ჯილდო არც მდომებია და არც მინდა...

ვაშლის და ატმის სილამაზე ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ არომატი და გემო არა აქვს...

\*\*\*

ქალსა და მამაკაცს შორის (არა ფიზიკურად, არამედ სულ სხვა ასპექტით) როცა დისტანცია ირღვევა, არაა მოსანონი... (ალბათ-ღვთისთვისაც...). ეს აქსიომასავითაა, ხოლო როცა საზღვარი ირღვევა იქ, სადაც მყარად შენარჩუნებაა საჭირო, ეს სავალალოა... ამგვარად მიმაჩნია საზღვრის რღვევა მწერალსა, წიგნებსა და მკითხველს შორის... შედეგი კატასტროფული იქნება!..



## ნუ იძიებანება!

ნუ განყვეტ ცხოველს შინაურს  
ტურა-მგელ-დათვის შიშითა,  
„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“  
სიკვდილი მოვა მისითა.  
მკვდარი არასდროს ცხონდება,  
ტირილითა და ვიშითა,  
მორეულ მტერზე ნუ იყრი  
ჯავრს ღვარძლითა და „იშ“-ითა.  
კაცი ყოველთვის კნინდება, სხვების შურით და ქიშითა,  
თავადობას ვერ იყიდი  
თუკი არ მოგდგამს ჯიშითა.  
თავის იმედი თუ არ გაქვს, ნუ იტრაბახებ სხვისითა,  
ყიამყრალს,  
სიკვდილის მერე, პირი ევსება მინითა.  
უფალთან ლოცვით მიაღწევ  
არა ცათამბჯენ კიბითა,  
პატიოსნებით, კაცობით, სინმინდითა და რიდითა.  
კაცი უღვაშით ფასდება,  
ქალი – თავმანდილ - რიდითა,  
შვილი – მშობელთა წინაშე ნაამაგარით დიდითა,  
მეგობრებს გულით მოიგებ,  
სამოყვროდ ნაგებ ხიდითა,  
კეთილ ნასაქმარს ზომავენ, ამ კიდით და იმ კიდითა.  
... თევზმა: "– თქმა მინდა,  
თუმც პირი  
სავსე მაქვს წყლით და ქვიშითა,"  
"არც თეთრდებაო ყორანი,  
რაც უნდა ხეხონ ქვიშითა"...

2007



\*\*\*

საკუთარ ხალხთან, იარაღის უღარუნით დემოკრატიის მიღწევა არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა...

\*\*\*

ვირის ნატლინკი ასატანია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ იგი ყოველთვის დაგტლინკავთ...

„მგელი არ მოშლის მგლობასა  
არც ვირი – ტლინკის ქნევასა,  
ვაქებდეთ ადამიანსა  
თავისი თავის მძლევარსა...”

\*\*\*

თუ ადამიანს პრაქტიკული ალლოს უნარი არ გააჩნია, იგი არათუ მეცნიერად, მინის მუშადაც არ ივარგოს იქნებ საერთოდ.



## უახლოს ძმასან

ჯოხი მუდამ სულ უმცროსზე  
არა ტყდება,  
ძმათა შორის მტყუანი კი... დიდია,  
უმცროს ძმასაც უნდა ხშირად  
მოფერება,  
ეს ცხოვრება რადგან ბენვზე  
კიდია.  
უმცროს ძმასაც უნდა ხშირად  
მოფერება,  
ზოგ შეცდომებს მოვუხუჭოთ თვალია,  
ძმათა შორის ძმობის მადლს რომ  
ვენაცვალოთ,  
ასე მგონი - უფროსების ვალია...

2007





\*\*\*

ვისაც ჰგონია ქალი მამაკაცის თანაბარია, ან სულაც – ყველა ქალი – ერთნაირი, მის სისულელეს და ავადმყოფობას ვერავითარი ექიმი დიაგნოზს ვერ დაუსვამს...

\*\*\*

ზოგს აცდუნებს ის აზრი რომ, ვინაიდან ფიზიკურად ახლოს დგას მესარეცლესთან, შინაგანი ბარიერი აღარ არსებობს...

სწორედ ის ანგარიშგაუწვევლი, პატარ-პატარა და თითქოს ვერშესამჩნევი ბარიერი არღვევს ოჯახურ სიმყუდროვეს!... (გვახსოვდეს, რომ პატარ-პატარა წყაროები ქმნიან ყველაფრისწამლეკავ დიდრონ მდინარეებს).



## ძმად ბჰანოხაჰინებს

სინდის-ნამუსის საზომი,  
დღითიდღე უფრო მოკლდება,  
ისე აიშვეს ქალებმაც, სირცხვილით არვინ  
მოკვდება.

კაცებს კაცობის ფუნქცია, დაუობდათ და ოხრდება,  
მამლის მაგიერ დედალი, ყივის და აღარ კრუხდება.

არავინ ფიქრობს მამულზე,  
მენყერს,  
თუ ერი წახდება,  
მამრ-მდედრის უფუნქციობით, ქვეყანა სულ  
პარტახდება.

რადგანაც ერის გონება, დამბლავდება და დუნდება,  
ერთი წინწკილა ზნეობა, თანდათან განადგურდება.  
წინაპართ ნაამაგარი

პარტახდება და ოხრდება,  
"შვილებს" ვინც მინას უყიდის, განა ედემში მოხვდება?  
დოლარმა ისე წაგვბილწა  
ველარ დავძლიეთ ცდუნება,  
უსამართლობა ზეიმობს  
სამართლიანი მტყუნდება.

... ეს,  
დიდხანს არ გაგრძელდება,  
ვხედავ რისხდება ბუნებაც,  
ძმრად გვანთხევიწინებს ყველაფერს, თუ მოეშალა გუნება...

2007



\*\*\*

წაქცეულ მტერს - წამოყენება კი არა, წიხლი უნდა ჩაა-  
ზილო...

\*\*\*

გველს ხვრელიდან ტკბილი ენით ამოყვანა კი არა, სა-  
დაც წაასწრობ, თავი უნდა გაუჭეჭყო...

\*\*\*

თუ ვინმესთან სტუმრობას აპირებ, ნუ ალოდინებ და  
ისეც ნუ ათქმევინებ – რამ მოათრიაო...

\*\*\*

მოუმწიფებელი აზრის წარმოთქმისას, ასევე მოუმწიფე-  
ბელი გონების ადამიანისაგან მოსმენისას, ხანდახან ისეთი  
რეზონანსი შეაქვს მეცნიერებაში, მისი ამოხსნისთვის დიდი  
დრო და რენტგენული გამჭოლობის ჭკუაა საჭირო.

ხანდახან სულელი ისეთ რამეს იტყვის გარკვეულ  
დროს ანდომებენ მეცნიერები მის გაშიფრვას და დასკვნის  
გაკეთებას...



## მაშინ

მაშინ "ხტისო კვიცი გვარზე"  
მორბენალი თუ ჰყავს გვარში,  
"სახლში მოკაკანე" ხშირად  
კვერცხებსა დებს სხვის ბაღნარში.  
თავის მსგავსსა ვერავინ შობს  
გინდაც იყოს ბრძენთაბრძენი,  
"კბილს ტყემალი კვეთს შვილთაშვილს"  
ანდაზაა ძველთაძველი.  
გული მაინც გქონდეს სუფთა  
თუ ვერა ხარ გამირთაგმირი  
ისტორიას ვერას მატებს, ქვანვია და პურაძვირი.  
ფული ფულად მაშინ ფასობს,  
გაძეძგილი რომ გაქვს ჯიბე,  
იარაღიც მაშინ ვარგა, ტყვიით სავსე თუ აქვს მჭიდვ.  
ექიმს მაშინ ეახელი,  
ჯანმრთელობა როს გაქვს მდგრადი,  
თორემ სენმა თუ დაგჯაბნა, მიგათრევენ ჯანდაბამდი.  
მეზობლის ფასს მაშინ ხვდები,  
სენი რომ მიგაკრავს სანოლს  
უფალიც გაგინაპირებს, ავ გულის და ენის პატრონს.  
არასოდეს არა ხდება, ავაზაკის "მუცლად ღება",  
ბრძენთა მსგავსი ავაზაკიც, ბოლოს მაინც მიწა ხდება.  
როცა ცას ეთამაშები, მაშინ გყავდე ძმად და თვისად,  
თორემ მიწაც არ მიგიღებს  
და არ ჩაგთვლის თავის ღირსად,  
მერე არც მიწა მიგიღებს  
საფლავისთვის ჩაგთვლის ბარგად,  
სიკვდილსაც კი მობეზრდება,  
და იქცევი ღამის ლანდალ...

2007



\*\*\*

უცებ აღიდებულ, მღვრიე და მოვარდნილ მდინარეს აურაცხელი ნაგავი მოყვება. ბოლოს როცა დაწმენდის ჟამი დადგება, სხვა ნაგავი და ბაცილები რჩება დანალექზე, რომელთა წმენდა-მოსპობას მრავალი წელი სჭირდება.

წყალი რომ თავის კალაპოტში აღდგეს და სუფთად იდინოს, ბევრი თავისტეხა და წვალეაა საჭირო, რომელიც სშირად მსხვერპლის ფასად ჯდება.

ნაგავი კი...

ნაგავი დ ბაცილები მაინც დარჩება...

\*\*\*

ჭიგო და ვაზი, თხმელის ხე და ზედ ასული იზაბელა... (გოგონაში არ აგერიოთ...) ...ვაზის კულტის ქვეყანაა საქართველო.

დღეს, საქართველოში ცხოვრების რეალობამ, გლექკაცს ვაზი ააჩეხინა და მის ნაცვლად თხილი და ზეთისხილის კულტურა იდგამს ფესვებს... ვაზის ტირილიო, ვაზის ცრემლებიო... დღეს, დარჩენილი ვაზი უფრო მეტად იცრემლება, ვიდრე ბარბაროსთა თარეშის დროს...

სიბრძნის მტევნებით, სიბრძნის ვენახიო... რომელი ვაზი დაიხუნძლება სიბრძნის მტევნებით?.. ესენი მხოლოდ მოგონებებში დარჩება?!

არ გინდათ ვაზის ცრემლები?.. მაშინ ჩვენ მოგვიწვეს მწარე ცრემლების ღვრა... გვინდა განა ეს?..



## შოხაჯი ძმას

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“  
მოდმეს სხვაგან ნუ მოძებნი, როცა ძმა გყავს “ყურის ძირში”,  
ძმას, შორეულს, ახლო მტერი გერჩიოსო გასაჭირში,  
ცეცხლზე კუპრს თუ არ დაგისხამს, არც გაგინოს, იქნებ,  
პირში.

ახლო მტერიც მტერი არის, მასზე ნდობა არ გაბედო,  
სახლზე ცეცხლი თუ ჩაგიქრო, შიშობს რომ არ გადაედოს.  
მტერი მაინც მტრად დარჩება, სულ სიმართლე რომ იყბედოს,  
ძმა კი მუდამ ძმად დარჩება, რაგინდ მისი ვალი გედოს.

“ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა”

ზოგჯერ ხდება მართლა მრუდედ

სხვის ბალნარში ჩუმად კაკანს

სჯობს შენს ძეძვში აგო ბუდე.

ძმის მტლინკავი, სხვა “ძმის” მძებნი

ვეჭვ, რომ ბოლოს არ გამტყუნდე,

შენი ტკბილი ლუკმა ჭამე, ურმიანად არ აბრუნდე.

ერთი რჩევა უნდა მოგცე, შეისმინე ძმაო სესე

აღალ ძმისგან ალაღის თქმა, წინაპართ წესია ესე.

მე რომ ვთესე, სხვამ რომ თესა, ის სიმართლე შენაც თესე,

ღმერთი მუდამ გაგიმარჯვებს, თუკი დათმო ბრიყვულ წესებს.

“მოყვარეს პირში უძრახე”

ნურც გაუთხრი ორმოს მტერსა,

თუ ბუნებამ არ უშველა, ვერას უზამ კაცსა შტერსა,

უფლის ნებას თუ ლაღატობს

ვერ შეხვდება ფერი - ფერსა,

თუმც უდროოდ,

არც უფალი

ჩამოგიგდებს თმისა ღერსა.

2007



\*\*\*

ახლა ისეთი დროა, ბღღვნად ქათამი კი არა, წინილაც  
შეიძლება...

\*\*\*

დღეს ნაძრახი სიცოცხლე უფრო ფასობს, ვიდრე სახ-  
ელოვანი სიკვდილი...

\*\*\*

ზოგ საქციელს პატიება არა აქვს - მონანიება ცოდვილ  
სულს ცოდვებისგან ვერ ათავისუფლებს...

\*\*\*

არის ისეთი ცოდვაც, რომელიც არაფრით მოინანიება,  
ამოაა ლოცვაც... მხოლოდ სიკვდილია მისი წამალი.

\*\*\*

ადმიანს ორი მეტრი მიწა ყოფნის. დღევანდელ ვითო-  
მადამიანებს, მსოფლიო რომ ჩააბარო სათითაოდ, არ ეყო-  
ფათ და ისევ ერთმანეთის ჯიჯგვენას მიჰყოფენ ხელს... ისი-  
ნი გალაქტიკებში უნდა გადაანანილო, მაგრამ სადაა!..



## მხიჩი აძენი

ერთად არასდროს არ გვყოლია მტერი ამდენი,  
ვინ შინაური, ვინ გარეულ-გულარეული,  
რამ გამორიყა ეს ამდენი გიჟი და შლეგი –  
ცრუპენტელები, ცვედანები, კახპა და ყბედი.  
ბევრჯერ დებულა საქართველო ბედის სასწორზე  
დანანევრებულ-დაჩეხილი და დაგლეჯილი,  
ხე სიკეთისა მუდამ ხმება საქართველოში,  
ბოლოს, იქნება, დაგვრჩეს მარტო ბალახ-ჯეჯილი.  
დასაბამიდან იხლიჩება "ბედი ქართლისა"  
ეს ვინ ოხერმა ჩაგვითესლა ერში მანქურთი,  
გვაცამტვერებდა დიდხანს ყველა ჯიშგაღლეტილი,  
გვჯიჯგნიდა ლეკიც, ირანელიც, ხანაც – პანთურქი.  
დედასამშობლოს სად ზომავენ მტკაველ-მტკაველით,  
ერთი გვაქვს როცა ცისქვეშეთიც, ცა და ხმელეთი,  
რისთვის გამიჯნეს აღმოსავლეთ და დასავლეთი,  
ვინ გაარიგა ლიხსიქეთი და ლიხსაქეთი.  
ვინ მოიფიქრა ერის სულის დანანევრება,  
ჭინჭარ-საეკლოდ, არა საპურ-სავაზიანოდ,  
დედაენა ხომ მხარეებით არ იზომება,  
მაშ – საქართველო ვინ დაბზარა ჩვენს საზიანოდ?  
იქნება დროა,  
გონს მოვეგოთ, უფალს მოვუხმოთ,  
პურ-მარილებით ასე როცა ვთავაზიანობთ,  
"წნელის კონებად" მოდით ერთხელ ჩვენაც მწევიკრათ  
შვილთაშვილების ხიდი რომ არ დავაზიანოთ...

2007





\*\*\*

არც მონსტრი ვარ, ქვეყანა დავლუპო და არც ისეთი წმინდანი, ღრუბლებს ზემოთ ვიფრინო. დედამინაზე უნონობა არ მანუხებს, მაგრამ არც ისეთი წონიანი ვარ, მინა ჩავზნიქო. ყალიბიდან კი არასოდეს ამოვვარდნილვარ... მაგრამ, ალბათ, ამ არამოვარდნილ კალაპოტში ისევ ჩავბრუნდები, თუმცა ამას ვერმკურნალი დრო სჭირდება...

\*\*\*

ადამიანები ლამაზად მოჭედილი ცის სიმშვენიერით ისე არიან მოხიბლულ-გაჟღენთილები, ავი დარის მაუნყებელ ღრუბლის ფთილებსაც ვერ იტანენ, იმის გამო რომ, დროებით მაინც მათი თვალსაწიერიდან გაქრება ლამაზი ცის ლამისეული ფონი. ოღონდ ეს სილამაზე ნუ ჩაკვდება, ნუ გაქრება მათი თვალთახედვიდან და აიტანენ იმასაც, თუ მზე გადახრუკავს არანაკლებ ლამაზსა და სულიერ არსებათათვის აუცილებელ გარემოს...



## ახა ვნალჰლობ

ოცნებები ცაში გუნდად ამიფრინდა,  
გამეფანტა ღრუბლის ფთილა - ფრთები,  
მეც ხომ ერთი აგური ვარ  
ამ ცხოვრების,  
და სამშობლოს სიყვარულით ვთვრები.  
არასოდეს ვულალატებ მე ჩემს რწმენას,  
ერის ერთგულ არმიაში ვრჩები,  
თუ ოდესმე,  
ერის ღალატს დამნამებენ,  
ღმერთო,  
იქვე შემიკვეცე წლები.  
მე სამშობლოს - ერთგულების ფიცი მივეცე,  
არც არასდროს ამრევია გზები,  
ვინც რა უნდა ის იფიქროს -  
არას ვნაღლობ,  
ავციობით არ ინგრევა მთები.  
მამა-პაპის ნაბილიკარს მიუყვები,  
ქექვ ეკალშიც ნაკანრებით ვძვრები,  
ღმერთო,  
ყველა ბილიკები გამატარე,  
არც არავის აურიო გზები!...

2007



\*\*\*

მაღალ სკამს ნუ წაეპოტინები, თორემ თუ ჩამოვარდი, შეიძლება ისეთი ზვაფი გამოიწვიო, ნახევარი საქართველო წაღეკოს...

\*\*\*

არ შეიძლება ყოველთვის მასმედიის თავაზიანობით ისარგებლო...

\*\*\*

ფული სატანისტების მოგონილია. ფული და სატანა ერთი და იგივეა. ფული, ისევე როგორც სახიფათო სიტყვები, ხათაბალის მომტანია. ფული ბევრ ფათერაკთანაა კავშირში, ისევე როგორც ხიფათიანი სიტყვები...

\*\*\*

„ძალღი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო“-ეს სხარტულა საზოგადოდ ყველა ვითარებაში მიუდგება სულიერს, ადამიანს, მაგრამ თუ შევხედავთ იმ კუთხით, რომ ძალღი სუფთა სისხლის მონადირული ჯიშისაა, ის სახლში ეზო-კარში მართლაც არ გამოდგება...

ვაი, სხვის ეზოში „მოკაკანე“ ადამიანს...



## უფცის ნება

მარადიულში უკვდავება ვერ დავინახე,  
რადგანაც არც ერთს  
ღვთისნაკურთხი არა აქვს სახე,  
არც ღვთისნიერი  
არ არსებობს უსასრულობა,  
შეუცნობელის მიტომც არ ღირს  
ქება და მკობა.  
დედა სამყარომ ილუზიით აქამდე გვკვება,  
თუმც რადგან გვჯერა -  
ესეც არის უფალის ნება,  
თურმე სიცოცხლეს კაპიკისა ადევსო ფასი  
დღევანდელით  
ვერ ავავესე სინმინდის თასი.  
აუნყავია,  
მადლ-მირონის ღვთიური პინა,  
უკვდავებაა -  
შენივ სულში დაიდო ბინა,  
ხვალის იმედით ვინც არასდროს  
ითენა დილა,  
ძალამ აღმართი ყველა მოკვდავს  
ახვნევიანა...

2007



\*\*\*

ადამიანს ერთი ბენო რამ ახარებს და იმ ერთი ბენოს გასაღები ისევ ჩვენს ხელთაა, ჩვენს სულში და არსებაში ჩადულაბებული, მაგრამ ეგოიზმს უფრო ვყავართ ჩაჭყლეტილი...

\*\*\*

ნიჭი და ნიჭიერება-აღმატებაა, რომელსაც ადამიანთა რომელიღაც კატეგორია ვერ იტანს. აღმატებული ებრძვის უნიჭობას, უგემოვნობას, ყოველივე ანტიადმიანურს, თუმცა თავად ეს ანტი ადამიანურიც, თავისთავად ებრძვის ნიჭს, ნიჭიერებას და... ეს ბრძოლა უსასრულოა, მარადიულია...

\*\*\*

ბოლოჟამს ცოლშვილიანებიც ნანობენ და... ბერბიჭებიცაო... ცოლშვილიანებს ძალღური ცხოვრება აქვთ (თუმცა არა ყველას) მაგრამ სიკვდილი, შედარებით ადამიანური აქვთ... ბერბიჭებს და შინაბერებს, იქნებ საამური ცხოვრება ჰქონდეთ, (თუმცა აქაც, არა ყველას...) ხოლო სიკვდილი ალბათ არასახარბიელო ჰქონდეთ... ისე, ყოველივე რეალობა და სინამდვილეა...



## ხობოხ მინდა

როგორ მინდა, წლების ჯარი  
უკან მიბრუნდებოდეს,  
ყველა ნატვრა და მიზანი  
ზღაპარივით ხდებოდეს...  
გასროლილი ყველა ტყვია  
სულ მიზანში ხვდებოდეს  
ბადეს მოყოლილი თევზი  
ისევ წყალში ხტებოდეს.  
ბედის და იმედის ძაფი  
არასოდეს წყდებოდეს,  
რაიც სურდეს დამაშვრალსა,  
ის არ ენატრებოდეს.  
ვისაც ცოდვის ტვირთი აძევს,  
წელში იკაკვებოდეს,  
ჩვენი ავად მხსენებელი  
მძიმე სენით კვდებოდეს.  
ვისაც სიკეთე სწყურია,  
სიყვარულით თვრებოდეს,  
ღვთის უღირსი და ღვთის გლახა  
ჯოჯოხეთში ხვდებოდეს...

2007



\*\*\*

ვინც თავს ვერ აღწევს ქალის ტყვეობას, კარგავს  
ყოველთვის თავის მეობას...

\*\*\*

ვიდრე არსებობ, არც ღორი უნდა იყო და არც მატლი,  
არც ძალიან დიდი, მაგრამ არც სხვისი სათელი...

... ღორი ყველაფერს თქვლევს, მატლი კი მხოლოდ საღს  
ეტანება...

\*\*\*

ადამიანი როცა რაიმეს ეძებს, მას შეიძლება თვალები  
დახუჭული ჰქონდეს, გული კი აუცილებლად ღია უნდა  
ჰქონდეს.



\* \* \*

მინდა, შენც ისე გიხილო  
ვით მარიამი ძით ხელში,  
მზის სხივებად აციაგდე,  
უვარსკვლავო დილა-ბნელში,  
ჩანჩქერივით -  
წინწკლდებოდე, სუროთი დაბურულ ხევში,  
მზესხივოსნად აჟღერებდე  
დამატკობელ ჰანგებს ჩემში.  
სიყვარულის ბაღნარს ქმნიდე  
სიყვარულით აყვავებდე,  
იმ სიხარულს -  
მე რომ მინდა, მხოლოდ ჩემში ახვავებდე.  
შენი ანგელოზის სულით,  
მოკვდავებსაც ახარებდე,  
ზრდიდე მუდამ ლამაზ შვილებს  
და ნიავს არ აკარებდე...

2007





\*\*\*

ყოჩი რომ კლდიდან გადახტება, ფარაც მიყვება, ბატ-  
კნებისთვის კი სულერთია, ოლონდ რძე ჰქონდეთ, თუმცა  
მათაც იგივე ბედი ელით...

\*\*\*

ჭკვიან ადამიანებს არასოდეს ჰქონიათ ფული. ნურავის  
ჰგონია, რადგანაც ფული აქვთ, ჭკუაც შესაბამისი აქვთ...

ცოდნა ფულს სჯობს – მას ვერც სესხად მოგთხოვენ,  
არც დაგეხარჯება, არც გაგითავდება...

\*\*\*

ვინც ისტორიას მიაფურთხებს-არარაობაა!.. ამით  
ისტორიას მაინც არაფერი დააკლდება, მაგრამ ვაი მას,  
ვისაც თავად ისტორია მიაფურთხებს!..



## ჩიტის ის ბახტყი

ენას დასცდება ან სანუგეშო  
როს თვით მჭირდება ანი ნუგეში?  
უბედურია ჩიტის ის ბარტყი,  
ვინც გზას ვერ აგნებს თავის ბუდეში.  
ნურვინ მიიღებს ჩემგან სანყენად  
მე აგერ-იგერ არა ვარ კაცი,  
ვილას ვარგივარ, ვილა მიგუებს  
მე უსარგებლოს და გრძნობადაცლილს.  
ქვეყნად იმდენი რალაცა ხდება,  
მე ანი სიტყვა აღარც მეთქმება,  
როს მთავაზობენ ბალიშს საძილედ  
ცხოვრებას ანი ფასი ექნება?  
ვინა თქვა გული არ ბერდებაო,  
სიბერე მხოლოდ სულთან ვერ მივა,  
შხამგარეული,  
ნაგვემ-ნაჯიჯგნი,  
ვაიმე,  
რა ვქნა?  
სხეული მტკივა.

2008



\*\*\*

დღევანდელი ქართველების ერთ მუშტად შეკვრა ქალაქებზე შეიძლება მხოლოდ. ქართველები ერთმანეთს ისე უნდა დააცილო, რომ ერთმანეთის მონატრებით თითებს იკვნეტდნენ...

მე მათთვის ყველა პლანეტას და ვარსკვლავს გავიმეტებდი საცხოვრებლად, ოღონდ ცალ-ცალკე...

\*\*\*

ადამიანს რომ ესაუბრო ათეისტურ თემაზე, უნდა იცოდეს რა წერია ბიბლიაში და სხვა რელიგიების წიგნებში... „ვუბრუნდებით წინაპრების სარწმუნოებასო“-ეს ხისტი გამოთქმაა, ვინაიდან, ერთეულებმა თუ იციან რელიგიების არსი...



## თუ ბილიოძა

ბედს შენს ჭკუაზე ვერ გააჭენებ,  
როს უიღბლობა ციდანაც ცვივა,  
ვის სიჯიუტის მარწუხი ბოჭავს,  
ბედსაც იმასთან მარადჟამს სცივა.  
ძნელია მართლაც ცხოვრება მისთვის,  
ვინც არ შეისმენს კეთილ ლაღადისს,  
თუ გილიმოდა დღემდე იღბალი,  
ხვალ ხელს დაგიქნევს, გეტყვის -  
ნახვამდის.

აწი სიმდიდრეს რაღას იპოვი  
თუ არა გქონდა იგი აქამდი,  
იმ შესანდობარს შენც დაგილევენ  
გაცხონებს რაიც -  
აწ და მარადის...

2008



\*\*\*

ქართველობაში ცნება - დემოკრატია დემონ-კრატის  
უფრო ნააგავს...

\*\*\*

ვინმეზე ცხვირ-პირის დამტვრევა, ძლიერებას არ ნიშ-  
ნავს - ამას უმწეო ბავშვიც იზამს...

\*\*\*

ფული და ჭკუა ერთად ვერასოდეს ვერ მოთავსდებიან,  
ისევე როგორც – ცეცხლი და წყალი, მგელი და კრავი...



## ბზა მაშინ ჩნდება

მომკელი იმას მოიმკის,  
რა ხვითოც დაუთესია,  
საკანში კვლავ შებრუნება  
მხოლოდ ქურდული წესია.  
კაცმა რომ ჭკუა ისწავლოს  
მთელი სიცოცხლე უნდება,  
გზა მაშინ ჩნდება -  
როდესაც ურემი გადაბრუნდება.  
საცა სატანა ჯახირობს  
იქ ბრძენთაბრძენიც შეცდება  
ადამიანი შეუცნობს  
ღვთის გარეშე ვერ შესწვდება.  
კაცი რომ ორჯერ შეცდება  
მასზე მესამეც ახია,  
დიოგენს -  
დიოგენობა, არასდროს უტრიაბახია.

2008



\*\*\*

ადამიანი მართლა ცდილობს ყვავს ასაკში აჯობოს და ეს აძლებინებს, თორემ ბრძენ დიოგენეს კასრიანად გადაუძახებდნენ ხრამში...

\*\*\*

საიქიოსთვის რომ გამზადებენ, ანდერძს ნუ კი ტოვებ, რომელიც შენობებივით რჩება, რომელსაც ვერ წაიღებ, სინდის-ნამუსი და მადლი დატოვე, რომ სხვებმაც გაიწილადონ...

\*\*\*

სიმართლე რომ გაიგო, უნდა იცოდე ტყუილებიც...



## მიმასილიაზე

მიმაცილებენ ბოლოს მაინც  
სამარის კართან,  
გამამგზავრებენ იმ ქვეყანას  
ფიქრებად დაძლილს,  
რაც უნდა ბევრი ვეგლაჯუნოთ  
ცრუ ცისქვეშეთში  
ბოლოსდაბოლოს  
დავბრუნდებით  
იქ, მყუდრო სახლში.  
... ვიდრე ამ ქვეყნად დააბიჯებ  
ღვთის თანაშემწედ,  
ნურავისა და,  
ნურაფერის ხსოვნას ნუ ნაშლი,  
ქვეყნის მპყრობელად მოგავლინა  
რადგან უფალმა,  
შენაც ამ ნდობას ნურასოდეს  
ნუ ჩაყრი წყალში...

2008





\*\*\*

დღეს ვინც ფიქრობს, რომ უღვაში კაცობისა და სინდის-ნამუსის სიმბოლოა, ძალიან ცდება.

როცა პოლიტიკა და ფული ბატონობს, იქ უღვაშს საქმე აღარ აქვს...

\*\*\*

ცუდკაცად ჩამოყალიბებული უსწავლელი კაცი, არაფერს წარმოადგენს, ცუდკაცად ჩამოყალიბებული ნასწავლი და მეცნიერი საშიშროება და საშინელება..



## ვაჰ, ჩვენი ბიძი

ვხედავ, ატყვია შენს ნატერფალს ნატყვიარები,  
ასევე ჩემს გულს ავბედობის ნაიარები,  
ღვთის საუფლოში მარტოსულად დავიარები  
ცხაურ ცხოვრების ვარამ-ნაღველს ნაზიარები.  
სჯობდეს, იქნება, ბანგის სრუტვა  
და გაბრუება,  
ბოთლში ჯინების გამომმწყვდევი  
არ მეგულება,  
სული - ბოროტებს არ იქნა და არ ეგუება,  
სულ აღრენილი  
უზნეობებს არ ეპუება.  
ქვეყნის დაქცევის ტოლფასია ქალით ცდუნება,  
ადამს უფალმა მოუნამლა ამით გუნება,  
სატანჯველია  
საზარლობის თუნდაც ყურება.  
სადაც სატანის ხმალი ქრის და  
ეკაკუნება.  
არც მათრობელი სასმელია სულის წამალი,  
ვარამს სულისას ვერ ჩააქრობს  
ღვინო და ქალი,  
მინახავს კაცი - ქალით მთვრალი  
თუ ღვინით მთვრალი,  
ფული და ღვინო, ღვინო და ქალი...  
ვაჰ, ჩვენი ბრალი...

2008



\*\*\*

*„მადლი ქენი ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდება“...*  
(ხალხური)

ეხლა ქვაზე თუ რამე დადე, როცა გამოივლი, ქვაც აღარ დაგხვდება...

\*\*\*

*„მეგობრის ერთგულება რომ გაიგო, მასთან ერთად ან გზაში უნდა წახვიდე, ან შვიდი ფუთი მარილი უნდა შეაჭამო“...*

დღეს მეგობრის ერთად გზაში რომ წახვიდე, კრიტიკულ მომენტში, იქნებ, ხრამში გადაგჩეხოს კიდეც. შვიდი ფუთი მარილი კი არა, ასი ფუთი მწვადი რომ შეაჭამო, უმადურობას მაინც გამოიჩენს, მეტი მეკუთვნოდაო...



## სიჩაეთე ვთესა

ერთგულებისთვის  
ოფლის ღვარი მეცა მდენია,  
მაგრამ  
ღალატი არასოდეს ჩამიდენია,  
იმდენი მაღლი -  
რაც მოძმისთვის კარგი მდომია,  
სიკეთე ვთესე? -  
დანარჩენი მონაგონია...

2008



\*\*\*

სარკე ბევრგვარი არსებობს, მაგრამ სულის სარკეს ვერც ერთი ვერ სჯობს... სულის სარკე სუფთად მზირალი თვალებია...

მარტო სარკეში ყურება ვერაფერს შეგვმატებს...

სარკე - თავად უნდა იყო...

რაც ყდაშია, ყველაფერი წიგნი არაა..

\*\*\*

ძლიერის, მომხდურის, მოძალადის დამარცხება ფანდით და ეშმაკობით უნდა შეძლო. მძიმეწონოსანი მოჭიდავის დამარცხებაც იოლად შეიძლება - უნდა მოქანცო როგორმე და თავისივე წონა უნდა გამოიყენო მის დასამარცხებლად, ეშმაკობა მარტო ეშმაკისთვის არაა...



## სახეში ჭეხატა

სარკეში ჭვრეტა -  
ადამიანს რომ ასწორებდეს  
მე ხომ -  
მინასთან უეჭველად გამასწორებდა,  
დამცინებდა და  
არ მომცემდა გასაქან საშველს  
მრუმე ცხოვრების შუაგულშიც  
არ დამტოვებდა...

2008



\*\*\*

დღეს ვინც კაცობაზე დებს თავს, ჩავთვალოთ, რომ თავისი ფეხით მიდის სახრჩობელაზე. არაკაცობამ იმოდენა წონით და ფასით აინია, მალე, ალბათ, ბენვის ხიდს ამქვეყნად დავინახავთ.

\*\*\*

ყველა იღებს საწერ მოწყობილობას... დრო ცუდად იწელება... ფურცლებს რუსთაველიც ავსებდა, „ვეფხისტყაოსანს“ როცა წერდა... ფურცლებს ანონიმებიც ავსებენ და ანტიმწერლებიც... დანახშირდა და ნაცრად იქცა სამართლიანობა... გვეშველება რამე?!



## თავს ქვა იცე

ზოგის მადლი ფრთებსაც ისხამს  
ზოგისა კი – ჭიანდება,  
ობლის კვერი არა ცხვება?  
რა ვქნათ - თუკი გვიანდება.  
სიცოცხლეში ჭირთაჭირით  
ზოგი ნალდად ჭკვიანდება,  
მადლნალვანი ზოგის შრომა  
რა ვუყოთ თუ ნიავედება.  
ეს ხომ უფლის უფლებაა,  
ჩვენზედ რომ უპრიანდება,  
ვისაც ავი მიზნები აქვს  
ცეცხლად აუბრიალდება.  
თვალი აუნყლიანდება,  
გვარი დაუჩიავედება,  
ჭკუა გაუნიავედება,  
წყლული გაულიავედება.  
რჯული ნაებილნება და  
სიო გაუქარიშხლდება,  
არა ნებავეს უფალს რაიც,  
თავს ქვა იცე - არ იქნება...

2008





\*\*\*

ყრუანტელი სიხარულმა უნდა მოგგვაროს, თორემ  
დღევანდელი ცხოვრება თავისი სიგრძე-სიგანით ისედაც  
ყრუანტელია...

\*\*\*

წონა კაიადამიანობით უნდა ჰპოვო, თორემ სიმძიმეში  
სპილოს ვერც ერთი ცხოველი ვერ აჭარბებს...

\*\*\*

ადამიანო, კოსმოსში ნუ იცქირები და იქ ნურას დაეძებ.  
შენი ურწმუნობით იქ ღმერთს ვერ დალანდავ...

ძირს დაიხედე, ქვას ფეხი არ წამოჰკრა და კისერი არ  
მოიტეხო, თორემ შეაგინებ კიდევ იმას, რასაც ეძებდი...



## ახები ბაბონი

არ უნდა იყო ყურმოჭრილი მონა ცხოვრების,  
ნუ იკოცნები - თუ მავანზე არ გეკოცნება,  
სული უბინო - თუ გექნება შურით ნაკვები  
მაშინ ფუჭია სამოთხეზე ფიქრი, ოცნება.  
კარგ მოსაუბრეს მართლაც უნდა  
კარგი გამგონი,  
კარგ წიგნსაც უნდა ნამკითხველი, კარგი პატრონი,  
კარგი თხზულება ლაყე ტვინით არ იწერება,  
უფლის გარეშე ცის ლაყვარდი არ იფერება.  
კარგი სიმღერა ყვავის ყრონტით  
არ იმღერება,  
კარგი მლოცველი უფლის ძალით არ იკარგება,  
კარგი საქმის მქნელს უნდა ჰყავდეს  
დამფასებელი,  
თუ არ გაფერავ, მაშინ ენაც დაიყანგება.  
კარგი სამოსი დამპალ ძაფით არ იკერება,  
კარგი ნაქნარი უფლის ხელით აიკინძება,  
კარგი ნათესი სულ ჯეჯილად აბიბინდება,  
მღვრიე მდინარე ნაგვის ჩაყრით  
არ იწმინდება,  
სულით ავადი - არასოდეს არ იწინდება,  
სულით სნეულთან მკრეხელია - სულის კირთება,  
თემიდას პინა მადლით თუ არ წაიპინკება,  
მაშინ სატანაც ჯორის ტლინკით დაიტლინკება...  
უფალს არ ნებავს?  
ვერც ქალ-ვაჟი  
დაინინდება...

2008



\*\*\*

სჯობს ამაღლება გონებით, თორემ ქონებით არაკაცე-  
ბიც მალღღებთან.

\*\*\*

ეგოიზმი თუ არ განამებს, მარტოობა სულის განსაწმენ-  
დელია...

სულის სინმინდე სხეულივით არ იწმინდება, სხეულის  
გასაწმენდად უამრავი საშუალებაა, სული კი მხოლოდ ცოდ-  
ვების მონანიებით იწმინდება.



## ფიქი ნახულა

განზე გამდგარა მარტოობა და ეჭვით მიღრენს,  
რადგან იურცხვა ჩემში დარდის ჩამობუდება,  
ვტირი რატომღაც იმ წარსულზე, რაც გავიარე,  
სიკვდილსაც სჯერა -  
ის არასდროს არ მობრუნდება.  
ყველა შავ-თეთრით წარსული რომ სულს გვიკაჟებდა  
ის ნაკაჟარი ჩაიფერფლა  
და გაცამტვერდა,  
რადგან ბუნებას უკეთურნი სხვაზე ყიდიან,  
და მარტოობის ეშმაკებმაც გვარგუნეს სევდა.  
ნოსტალგიაა - ადამიანს სულს რომ უწყლულებს  
ფიქრი წარსულზე -  
                  უჭმელ-უსმელთ ველარ არწყულებს,  
სამოსდაფლეთილს,  
სულგაძარცულს და ნირნამხდარებს  
ყიდიან ეგრევ და გვისევენ  
სულში ავსულებს.

2008



\*\*\*

ბედი თავისი ფეხით უნდა მოგადგეს კარზე.

ბედი ალაღბედზე არ მოდის. მას იღბალიც უნდა ახ-  
ლდეს თან. ლამაზად უთქვამთ ძველ ბრძენ ქართველებს -  
ბედ-იღბალიო – სინდის-ნამუსიო...

ჰო, ბედ-იღბალი სინდის-ნამუსიანს იშვიათად ხვდე-  
ბა წილად...

უბედური ის კი არაა, ვისაც ბედი ჰქონდა და აღარ აქვს.  
უბედური ისაა, ვისაც სულ არ ჰქონია....



## ხვეწს - უხვეწობა

აღმართს - დაღმართი მოსდევს უცილოდ,  
სიცხეს – სიცივე,  
მზიანს - ავდარი,  
სკამს - უსკამობა, ხვავს - უხვავობა  
ცოდვებს კი მალე – სულის ხანძარი.  
წამიერია გადიდკაცებაც,  
ის მოგეზღვევა, ბედი რაც არი,  
სიმწარე არის მთელი ცხოვრება,  
და არ მინახავს ჯერაც დამტკბარი.  
სიტყბო - ტკივილი ახლავს სიცოცხლეს,  
ავბედობით კი რჩება ნაცარი,  
თუ ჰარმონია დარღვეულია  
ვარსკვლავიც დარჩეს იქნებ ცალ-ცალი.  
თუ ურწმუნობას გაუუღებთ კარებს,  
რალად გვჭირდება სხვა სალოცავი,  
რალად გვჭირდება სუფთა სათავე  
რალად გვჭირდება რწმენის მარცვალი.  
რომელი მოლა დაგვეხმარება,  
რომელი – მღვდელი წვერისცანცარით,  
ან მანქურთები აგვაყვავებენ  
ძლივს რომ დადიან ბანცალბანცალით?  
ცოდვას რომ არვინ არ ერიდება  
დათვურ დავლურით მოხორხოცენი,  
ყველა - ოხერი და გაღლეტილი  
წამგლეჯელი და არ რის მომცემი.  
... უბედურება ამოგვიდაგე  
უფალო ღმერთო - ჩვენში რაც არი,  
განყვიტე მტრების ჯიში-ჯილაგი  
არ ვნაღლობ -  
დაე, დარჩეს ნაცარი...

2008



\*\*\*

ადამიანს სამი ჭკუა უნდა ჰქონდეს: ერთი თავისთვის, ერთი – სხვისთვის, ერთიც – მარჯაფად, რომ საჭიროების მიხედვით გამოიყენოს გარკვეულ მომენტში...

\*\*\*

თუ ნარგავს ძირი "ფულურო" აქვს, ამონაყრები მაინც არაფრად ვარგიან... ფულუროგვარიანი – ერის უბედურებაა...



## ნამუსის ქლით

ღმერთო,  
ნამუსის ქუდით მატარე  
ქუდით, რომელიც ყველას სჭირდება,  
ნათელი შუბლით, მღიმიანი სახით  
და აფეთქებულ ლექსის კვირტებად.  
ძარღვით -  
წინაპართ ნათელარ გზებით,  
სულით -  
ბობოქარ ნანატრ ზვირთებად,  
მჯერა -  
ამაოდ არც მე დავშვრები,  
უნამუსოდ და ფუყე კირთებად.  
სუფთა გული და სუფთა თვალები,  
სუფთა აზრი და სუფთა ქმედება,  
ვინაც ნამუსის ქუდით იარა  
სულით არასდროს არ დაბერდება.  
... ღმერთო -  
ნამუსის ქუდექვეშ გვამყოფე  
მე ამის მეტი არა მინდა-რა...

2008





\*\*\*

ადამიანი ადამიანის კორტნას უნდა ერიდო, მტაცებელი ნადირ-ფრინველნი ხომ ამის მეტს საქმეს არა სჩადიან...

\*\*\*

თვალი ისე უნდა მოჭყუტო, შორეულ ჰორიზონტს ხედავდე. ისე ფართოდაც ნუ გააღებ, შიგ ღამურა ჩაგივარდეს...

\*\*\*

ადამიანებზე ცინიზმით ამალლებული ადამიანი, სატანური ღიმილით რომ ხვდება ადამიანებს, ცოდვაა და ბუმერანგის სახეს ღებულობს. ბუმერანგი კი მარჯვე ადამიანთა ხელში საშიში იარაღი იყო, რომლის მეშვეობით არათუ ფრინველებს, ადამიანებსაც აზიანებდნენ...

ყოველგვარი ნაქნარი, ღვთის ძალით უკანვე მოუბრუნდება ადამიანს.



## ბაონდეს სინდისი

თუ ფულით არ მაქვს გაძეძგილი  
უბე და ჯიბე,  
მე გამაჩნია ის -  
რაც ბერმა უარყო ვიცი,  
მე მაქვს სინდისი -  
რაც არასდროს იქცევა ფულად  
და მაქვს სურვილი -  
გვარის გზებზე დახტოდეს კვიცი.  
ფულის ხვავებზე არასოდეს არის ცხონება,  
უფალი, იქნებ, მიტომც შემომწყრა  
დაბადებამდე,  
- გნამდეთ უფალი, დამერნმუნეთ,  
ჰოდა, სჯობია,  
გქონდეთ სინდისი - კაპიტალის დაბანდებამდე,  
ნუ, ნუ წანყმდებით -  
სინდისის თუნდ გქონდეთ მისხალი,  
მერე თუ გინდათ, გზა გქონიათ  
თქვენ - ჯანდაბამდე...

2008



\*\*\*

მილაგებული მართლაც კარგია, მაგრამ მტერი, ჩვენ კი  
მიმოფანტული გვერქვას, ვიცოცხლოთ და ვიაროთ...

\*\*\*

ლტოლვილობა არასახარბიელოა ერთი მხრით, თუმცა  
მას დადებითი მხარეც გააჩნია – ლტოლვილი, ადგილგადა-  
ნაცვლებული მუდამ ხვალის იმედით ცოცხლობს...

საშინელებაა იმედიც თუ მოესპობა ადამიანს...



## 316 დახედავს

მზე დასავლეთით გადაინვერა,  
თითქოს, ნაილო ქვეყნის ვალები,  
სადღაც ქუჩაში ცხრილავენ ბიჭებს  
მათ გახელილი რჩებათ თვალები.  
დედები იცმენ შავებზე შავებს,  
მოზარეებად იხვევენ ქალებს,  
როცა მკვლელები ხუჭავენ თვალებს  
ვინ დაუხუჭავს მოკლულებს თვალებს.  
დრო მიანარცხებს ოხერს და უჟმურს,  
ბრბოს –  
ახვრების და ამორძალების,  
როს უხუჭავენ სიმართლეს თვალებს  
მკვდრებს ღიად მიტომ რჩებათ თვალები.  
ციხე უბრალო ხალხით ივსება,  
ქვეყნიერება – ამორძალებით,  
მამაძაღლებით, მამათმავლებით  
ნიფხავდამდნარი ქუჩის ქალებით.  
ვინც იბადება საქართველოში,  
ვიცი, დარჩება შესაბრალები,  
იქნებ, არ დარჩეს, საუბედუროდ,  
მკვდრებს დაუხუჭოს ვინმემ თვალები.  
ცოდვის ჭაობში ტყამპალებს ყველა,  
ვინც არ იარა უფლის ბრძანებით,  
ქვეყნად იმდენი ცოდვები ხდება  
სჯობს დაგვესებოდა სანყლებს თვალები.

2009



\*\*\*

კარგად წამონყებულ საქმეზე ხელს რომ შეგიშლიან, ეს აყვავებულ ბაღში სეცყვის მოსვლას ჰგავს...

\*\*\*

სოფელი ფიქრში და ოცნებებშია კარგი, რაც ჩვენ ქართველებს უნიკალურად მიგვაჩნია...

ბევრჯერ ვთქვი – მჯობნს მჯობნი არ დაეღევა-მეთქი... ადამიანმა ადამიანს სინმინდით და სულიერებით უნდა აჯობო და არა ხარახურით.



## თუ შაბაშანა

რას დაგვიტოვებს წარსული  
ნისლის გროვაა მხოლოდ  
ბაღურად ბედსმინდობილის  
მწარე კვნესაა ბოლოს.  
რის მსწავლებია წარსული  
ჭკუა თუ არ გაქვს თავში,  
ბრძენთა ნაქნარი - უტვინოდ  
გაიფანტება ქარში.  
ოლონდაც -  
ეს შეგონება  
არასდროს გაგხვევს შარში,  
ერთგულიც იყავ, ალალიც  
ძმა არ გაცვალო სხვაში.  
... თუ შეგეშალა კაცობა  
ქარიც გაშპება თავში...

2009



\*\*\*

კარგი მეგობრობა ისაა, ვინც საძილედ ბალიშს მოგანვდის და თავად სიპ ქვაზე წაიძინებს...

\*\*\*

კარგი მეგობრობა ლოგინის საზომით არ იზომება...

\*\*\*

ღარიბ გარემოში დაბადებული და აღზრდილი ადამიანი შეიძლება ჯიბით ღარიბი დარჩეს, მაგრამ მისი სულიერება ყოველგვარი სიკეთით და ღვთის რწმენით იქნება გაჟღენთილი...

\*\*\*

ჯიშთან "ნამყენს" ნეხვის მიყრა არ სჭირდება, იგი სიპ ქვაზეც იხარებს...



## ბედ-იღბანი

როს იღბალი გადაფსკვნილა საძვალეზე  
აღველფილი, აჩონჩხილი, ნაჩინჩხარი,  
"წყვილი ტყვია" როცა შპება კაკალ გულში  
მაშინ რჩება -  
ნაოხვრალი ნატყვიარი.  
ცისმარე დღეს  
ცისიერი ცის ნამი ცრის,  
ნაელვები -  
ნაქუხარის გრუხუნ ხმაზე,  
ბედ-იმედი  
მირაყებში დაჟინჟღალებს...  
ბედ-იღბალი?  
არსობს განა ქვეყანაზე?..

2009





\*\*\*

პოლიტიკით მოთამაშე ნარდით მოთამაშეს ჰგავს, არ იცის, თუ რას უმზადებს ბედი. პოლიტიკა ჭადრაკივით უნდა მოიხმარო. ჭადრაკს გონიერებიც თამაშობენ და უგუნურებიც, მხოლოდ მოგება ბრძენთა და გონიერთა ხვედრია...

\*\*\*

დარვინისეულ ბუნებრივ შერჩევას ჭირი აქვს უკვე მოჭმული. დრომ ყველაფერი უკულმა დაატრიალა,,,

ჯორდანო ბრუნო თავისით მოიკლავდა თავს, ცოცხალი რომ ყოფილიყო... იმიტომ რომ დღეს ძალიან ძნელია დაუმტკიცო ვინმეს, თეთრი თეთრია და შავი კიდევ შავი... თუმცა, ყოველთვის ასე იყო...



## ჰილესახეზო

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა  
შეერთდითო“! –  
ბრძანა ლენინმა,  
მხარი-მხარსაო,  
გული გულს და კბილიც კბილის წილ,  
ასე ვიარეთ  
დიდხანს, დიდხანს,  
თურმე უმიზნოდ...  
დღესაც გაისმა - შეერთდითო, პროლეტარებო!...  
სადაც კი გინდათ იქ შეერთდით -  
გინდ ვაშინგტონში, გინდ ლონდონში,  
გინდაც პარიზში,  
ოლონდაც – არა თბილისში და  
არა პარლამენტის წინ...

2009



\*\*\*

ტყუილი დაპირებებით მოგებული ხალხის გულში ჩამახედა და მერე თუგინდაც მომკლაო, - თქვა ერთმა მატყუარამ...

\*\*\*

დღეს ვინც დიდ ტყუილს იტყვის, იმას დიდ ტაშსაც უკრავენ...

\*\*\*

საქმე ის კი არ არის, როგორ შექმენი, საქმე ისაა, რისთვის შექმენი. თუ ფიქრობდი შექმნისას რომ ხალხს სითბო ჩაღვროდა გულში, ესეც დიდი საქმეა, თუ არადა, სიპქვას, ოკეანის ფსკერზე მდებარეს, ვერაფრით სჯობიხარ...



## აღმახთ-აღმახთზე

ვინც ტალახიან გზებს არ ერიდა,  
აღმართ-დაღმართზე  
ვინაც იარა,  
ვინც არ იპარა და არ  
იმრუშა,  
მანც დარჩება სულის იარა.  
თუმც მთვარე გვიმზერს  
ცივი ღიმილით,  
ნაცვლად ამისა -  
მზე გვწვდება სულში,  
ვინც ბავშვის თვალით უმზერს  
მომავალს  
ბოროტება არ უღვივის გულში.  
გრიალ-ბზრიალით ჩავლილი წლები,  
ელვა-გრუხუნით უკანვე რბიან,  
თუკი წარსულმა მძიმედ დაგვსაჯა  
ჭკუაზე მოსვლა  
არ არის გვიან...

2009



\*\*\*

ილუზიებით ცხოვრება ცხვრის ფარის მსგავსია – თუ ფარა შებრუნდა, კოჭლები წინ მოექცევიან...

\*\*\*

მამაზეციერმა ადამის მოდგმას ოთხი ბუმბერაზი მხატვარი მოუვლინა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, რომელთა სასწაულებრივ ფერთა გამას ვერცერთი მხატვარი ვერ შეეცილება...



## წვიმების თქეშით

ნაავდრალ გორებს  
ჩამონარეცხს წვიმების თქეშით,  
ცისარტყელა რომ მოევლება  
ზღაპრულ ფერებად,  
ამ დროს გულს თუ სურს  
მღერა დარშიც,  
წვიმის თქლიაშშიც,  
მაშ, გულთან ერთად  
თვალებს რატომ არ ემღერებათ?  
თუ სულში შავმა სიომ ერთხელ  
ჩამოიქროლა,  
ნაფორიაქალ ფიქრებს რაღა  
წაეშველება,  
როცა იმსხვრევა სალ კლდეებთან  
ბოლო იმედი,  
ცისარტყელისფერ ნაოცნებარს  
რა ეშველება?..

2009



მრუშობა არისხებს უფალს.. მრუშებს ჯოჯოხეთის ბოლო (ქვემოთა) სართული ელოდებათ. მაგრამ ვაი, მას, ვისაც ხელენიფება მისი აკრძალვა და თვით ეწევა აღვირახსნილობას - ის უფლისგან განკვეთილია და განსაკუთრებული სასჯელი ელოდება...

როცა ადამიანთა შეგნების გადაგვარებას ფესვები ღრმად აქვს გადგმული, ერიც დაეცემა... „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ – ეს სენია და ძნელად იკურნება!...



## სხვის სამოთხეზე

ამაყად გავცქერ სარკმლის ქრილში სოფლის სურათებს,  
მიყვარს, ვამაყობ, თითქოს, ვიყო მე ბალღი ანცი,  
წაველ, დავბრუნდი, ვერც ვერავინ დამამუნათებს  
სხვის სამოთხეზე -  
მე ჩემს კლდეებს არასდროს გავცვლი.  
ბავშვობის ნანა  
ამ ლამაზმა მთებმა მიმღერა,  
ჩანჩქერთ შხუილში სარწვევლა  
სიომ მირწია,  
გული ვერ გაძლებს - ეს სილამაზე არ ვთქვა სიმღერად  
უფალის ძალით მოფერებაც ბევრჯერ მიცდია.  
თუ ვიღვენთები - გულში დალლა არ განმიცდია  
ამ სილამაზეს მიტომც სულით მივუძღვნი ოდებს,  
თუ სიჭაბუკემ ცისარტყელებს კუდში მისდია,  
კვლავ ჭაბუკური შემართებით ვახტები ლოდებს.  
ო, დამიჯერეთ, თუ დაღლილი მიხილოთ ოდეს,  
ლექსის მერანიც დაოთხილი ველარა რბოდეს,  
სოფელს ვერ ვარგო - სარბიელი გადამხმობოდეს  
თუ ავკაცობით მოვიძულო - ცა დამხობოდეს.  
წვიმს თუ დარია - ჩემი სოფლით მიმიხარია  
მისთვის აგურად გამომწვარი მეც დავეშენო,  
მიტომც ვადიდებ ჩემი სოფლის ღამეს - მთვარიანს,  
ან გული გაძლებს - მზიან დღესაც არ მოვეფერო?..

2009





\*\*\*

უბრალო ადამიანები უფრო სასახელო შვილებს ზრდიან, ვიდრე "ბრალიანები."

\*\*\*

ნუ იკვებნი, რომ სხვებზე აღმატებული ხარ... ბაზრის საქონლის უმეტესობა იაფად იყიდება...

\*\*\*

კოვზს უთქვამს - ქვაბის ძირი ჩემზე კარგად არავინ იცისო...

თანშეზრდილის ავ-კარგი თანშეზრდილზე უკეთ არავინ იცის...



## ჰიქანვედი მუშტაბს

მოვცხე მუშტები  
ვჩხე ცულით, უროთიც ვბეგვე,  
თითქოს, ვიყავი ოტროველაც, უხეში ბექვეც,  
სადლაც შორეთში  
თითქოს, ლექსით ვაკეთე საქმე  
თურმე სახობოც და საცემიც  
მყოლია აქვე.  
ვიქნევიდი მუშტებს -  
ვურტყამდი ქვას, კაცსა თუ თავხეს,  
ვურტყამდი იმას, ვინაც ფეხქვეშ მიგებდა მახეს,  
დასაბამიდან ობლის კვერი ვაცხვე და ვაცხვე,  
ის, რაც მევალა -  
ვერასოდეს ვერ გამოვაცხვე.  
ხოტბას ვასხამდი სიკეთეს თუ სიკეთის მარცვლებს,  
ვებრძოდი მუდამ ბოროტებს და  
ბოროტის ნაცვლებს,  
ვებრძოლე მათაც, ვინც ბოროტებს  
უცვლიდა საცვლებს,  
თუმც მომთელავი, მომცელავი მუშტი ვერ ჩავცხე.  
ვალა ჩვენი -  
ქველი საქმე, ლოცვა და ლოცვა,  
უფლის სახოცველს შენი გესლით რად უნდა ხოცვა,  
უნდა შეგეძლოს -  
სიყვარულით მკოცნელთა კოცნა,  
აკეთე კარგი -  
დამფასებელს არ უნდა მოცდა...

2009



\*\*\*

თვალეებში ციციანი და ასე ვთქვათ - სიცილი გველსაც შეუძლია, საქმე ამაში როდია. ადამიანი გველის ფორმაში არ უნდა იყო. მთავარია, სიყვარული მოიხვეჭო, თორემ გამოხედვა გველსაც ბრძნული აქვს, გველის სიბრძნე კი ჯერჯერობით - დაგესლვაა...

\*\*\*

საქართველოში გაფიცვების ბუმი... ხანდახან მუზეუმიც იფიცებიან და, ვაი, რომ ასე გაგრძელდეს...

\*\*\*

„ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო“-ბრძანა პლატონმა...



## სჯობს ჯანად მოხვედ

თუ უბრალო ხარ,  
კაცი იყავ,  
სჯობს კაცად მოკვდე,  
თუ გადიდკაცდე,  
იქნებ მეფურ სკამზედაც მოხვდე,  
თუ დიდკაცობით  
გულში ზიზლის ზღვა აგიდულდეს  
მაშინ სჯობია  
სიკვდილი სულ თვალში გიმზერდეს!  
თუმცა –  
ჯობია მიავიწყდე სიკვდილსაც თვითონ,  
ულირს – უგვანი  
არასოდეს გვეყოლიხარ ვითომ!  
და ვიდრე გული  
ავკაცური ზიზლით გევსება,  
უყვარდე ვინმეს –  
ეს იმედი ნულარ გექნება!..



\*\*\*

ყველაფერი დროებითია, სამყაროს მარადიულობის გარდა!..

\*\*\*

სულით მიცვალებულს სულ მიცვალებული ასი თავით  
სჯობია, თუმცა ორთავე მაინც მიცვალებულია...

\*\*\*

როცა ქალი ტირის, იგი გაუგებრობის ხარვეზს ავსებს  
ცრემლებით და არა სიხარულის ყულაბას...



\*\*\*

ზეიმი აქვს უფლის სამწყსოს  
არა სადღაც - მაღლა ცაში,  
ფერხული აქვთ ქერუბიმებს  
ანგელოსთა მარაქაში.  
ცა გაცისკროვნებულია  
არცა ცივა, არცა ბნელა,  
ანგელოსთა უბით იშვა  
უფლის შვილი - ციცქენა ლელა.  
რჩეული რჩეულთა შორის  
მადლ-მირონით ცხებულია  
რასაც მატებს ნუთისოფელს  
უფლის დაწესებულია.  
მისი ფერხთა მტვერი იყოს  
რაიც დაბადებულია,  
ის - რაც ამაღლებულია,  
ის - რაც გაბრწყინებულია.  
... უფლის ხარ, თუმც არ გფენია,  
ფიანდაზად ვარდი, ია,  
ცამ რომ მოგიმშობიარა  
ღვთის მისიად ჩათვლილია.

2009



\*\*\*

ხალხური სიბრძნეა - ერიდეთო უშვილოს, ხეიბარს და ცალთვალა კაცს, განურჩევლად სქესისა, მათ არ შეუძლიათ და არ სურთ, სხვათა ბედნიერების ხიბლით იხიბლებოდნენ, სხვათა სიხარულით იხარონ.

ამდენად მათ სულში ბოროტების მარცვალაც დევს, რომელიც არასოდეს გამოიღვევება და გარშემო მყოფთ ყოველთვის ზიზლით შესცქერიან.

\*\*\*

მონადირე, რომელიც ვერ ხედავს ნადირს, მაგრამ მის მოახლოებას რალაცნაირად გრძნობს, იგი ზებუნებრივ ნიჭიერებაზეა ნაზიარები-აღლო უმცდარი აქვს... ერთეულებია ასეთი... მეფედ ყველა ვერ გამოდგება...



## ჩაიქაფეთ მაჭხად

ხალხო,  
გავუფრთხილდეთ მარჩენალ მინას,  
მოდით, თვალი გადავავლოთ გორებს,  
ღრანტე ხეებს -  
გულმკერდით რომ გვიცავს,  
ღელე-ღურდნით ქვებს რომ მიაგორებს.  
ყანებს ვივსებთ ქარვისფერი ღვინით,  
ტრაბახით მჯიღს გულზე ვიბაგუნებთ,  
ბუნებასაც თუნდაც ერთხელ მოეფერეთ  
ერთხელ მაინც -  
მის დარდს მიაყურეთ;  
ნუ დაიცობთ მაგ სამინე თითებს  
ყურებში და...  
ერთიც გაიგონეთ,  
ამ ერთხელაც ჩაიქაფეთ მაჭრად  
რომ დაღვინდეთ -  
დროა, უკვე ვგონებ...

2009





\*\*\*

პატარა ნახვრეტი გემს ლუპავს, ასევე თვითმფრინავსაც.  
ჩვენ რომ პატარა ნახვრეტი გვგონია კოსმოსში, დედამი-  
ნისთვის მართლაც საშიშია, მაგრამ ყველაზე საშიშია ად-  
ამიანს შურის და ეგოიზმის ნახვრეტი რომ აქვს გულში...

\*\*\*

ემაკები როცა სცოდავენ, მაშინ სასჯელს ალბათ ან-  
გელოზები იხდიან...  
სამწუხაროდ თანამედროვე ცხოვრებაშიც ამგვარად  
ხდება!..



## ეს მინაც ჩვენია

შეიცოდეთ ბუნება, იყავით მონყალე,  
ეს მთებიც ჩვენია,  
ღრანტეც და ქარაფებიც,  
ჰაერს ნუ ნაბილწავთ,  
უმისოდ ვერ გავძლებთ,  
მზეს ნუ დაუბნელებთ პატარებს!  
ეს მინაც ჩვენია,  
ეს ნაკადულებიც,  
აჭარისწყალიც და  
წყალუხვი ჭოროხიც,  
ეს მტკვარიც ჩვენია  
და მღვრიე რიონიც  
ალაზანიც, ენგურიც  
ქსანიც და ჩოლოქიც.  
უფალო, მოხედე უგუნურ მოკვდავებს,  
ვინც ავად ეპყრობა ბუნებას,  
მოხედე უფალო,  
გთხოვ ერთხელ მოგვხედე,  
გუნება ნაუხდინე ცდუნებას!..

2009



\*\*\*

უფალი მაშინ გახსოვდეს და მასზე ილოცე, როცა "ბედელი" სავსე გაქვს, თორემ მომაკვდავი ლოცვის მეტს აღარაფერს აკეთებს...

\*\*\*

ნამუსის ქუდიო?..

ასეთი გამოსაცნობი ნიშნით - კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ შეუკერავთ... ხომ იცით, რომ ქუდექვეშ მოთავსებულ ქალაში ერთნაირი ტვინი არ არსებობს.

ქუდს ყველა იხურავს...



## ფუჩი ოსნება

როგორც იცვლება სამყარო,  
ისეც ჭკუა და გონება,  
არსთა გამრიგის აზრები  
ჩვენ გვრჩება შეუცნობელი,  
შეეშვით ცაში ყურებას,  
იქ არა ყრია ქონება,  
ალალი შრომით მოვირგოთ  
ჩვენ ჩვენი მოსამკობელი.  
სიზმრად ნახული ქვის გროვა  
არ გადიქცევა სახლებად  
ნაოცნებარი, ნაფიქრი  
ათასში ერთხელ ახდება,  
დაუგეგმავი სიცოცხლე  
საპნის ბუშტივით გაქრება,  
რაგინდ უფლის ხე ვუნოდოთ  
ბოლოყამს ისიც გახმება.  
რაც არა ნებავს უფალსა  
ამ ქვეყანაზე არ ხდება,  
გახიდულ ცისარტყელებზე  
ვერავინ გადაახტება,  
აუსრულებლის ნატვრაში  
კაცი კნინდება, წახდება,  
მთელ სიცოცხლეს რომ ვაშენებთ,  
მისი დანგრევა წამს ხდება...

2009



\*\*\*

როცა ადამიანს ესტუმრები, იმ სახლში ან ბუხარი უნდა  
იციოდეს, ან – დიასახლისი...

\*\*\*

როცა ვინმეს სახლს გახედავ დილით, იქ სიცოცხლის  
კვამლი უნდა ამოდოდეს და არა ხანძრისა...



## ყველას მადვირად შემიძლია

ყველას მადვირად შემიძლია, ვილოცო,  
თუკი,  
ამით დავიხსნი -  
გადავარჩენ თქვენს ცოდვილ სულებს,  
შეგენირებით -  
თუ უფალი ამას ინებებს  
და მოგაცილებთ თუკი ერთხელ  
დემონ-ავსულებს.  
ყველას ტკივილი  
შემიძლია, მართლა ვიტვირთო  
თუ საიქიოს, სამოთხეში  
ყველა მოვხვდებით,  
თუ ჩემს სიკვდილით გელირსებათ  
ლალი ცხოვრება,  
ჯანდაბას -  
ერთხელ მეც ვიმღერებ  
სიმღერას გედის.

2009



\*\*\*

ხანდახან ძუ ვეფხვის ბუნება უნდა გამოიჩინო ადამი-  
ანმა რომ იბრძოლო და გაინაპირო იქ, სადაც სული  
მოისვენებს...

განა მართლა არსებობს ასეთი „სულის სავანე“?..

ჰო, უნდა გაინაპირო, რომ შემდეგ სამოთხისკენ გააგრ-  
ძელო გზა და არა ჯოჯოხეთისკენ...

ნუთუ ფიქრობთ, რომ ესენიც არ არსებობს?.



\*\*\*

თავდება ყველა  
ალმართიც,

რადგან წლები  
გარბიან წივილ-კივილით

მე კი დავრჩები  
მარად იარად

გაგახსენდებით  
გულისტკივილით.

2009



რედაქტორი	გუნა სამნიძე
მხატვრული რედაქტორი	მაია სამნიძე
ტექნიკური რედაქტორი	მერი დიასამიძე
კორექტორი	შორენა დიასამიძე
ოპერატორი	მედეა ზოსიძე

